

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა, კერძო სამართლის მიმართულება

სოფიკო გუმბარიძე



საქონლის კონტრაფაქცია

(ქართული კანონმდებლობის მიმოხილვა DCFTA-ს კონტექსტში; შედარებითი ანალიზი უცხოურ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკასთან)

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: სანდრო ჯორბენაძე

თბილისი

2019

ანოტაცია

კონტრაფაქცია წარმოადგენს მზარდ, გლობალურ საფრთხეს.¹ კონტრაფაქციურებული საქონელი საზიანოა ადამიანის ჯანრმთელობისა და უსაფრთხოებისათვის.² მას ასევე უარყოფითი ასახვა აქვს ინდუსტრიებსა და ეკონომიკაზე.³

ნაშრომი ასახავს და განაპირობებს კონტრაფაქციის დეფინიცირებას უცხო კანონმდებლობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, კონცენტრაციას ახდენს კონტრაფაქციიდან წარმოშობილ რისკებზე, მათთან დაკავშირებულ სანქციებსა და რეკომენდაციებზე.

საქართველომ, ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერით (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის) არაერთი ვალდებულება იკისრა, მათ შორის იყო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში იმ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომელიც შედეგად უფლებათა მაღალ დონეზე დაცვას და კანონის პრაქტიკაში ეფექტურ გამოყენებას განაპირობებდა.⁴

ნაშრომში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან ჰარმონიზების საკითხებია განხილული, შეფასებულია ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და შემოთავაზებულია მომავალში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებული დეტალები.

¹Global Intellectual Property Center, U.S. Chamber of Commerce, Measuring the magnitude of global counterfeiting, creation of a contemporary global measure of physical counterfeiting, 2016, გვ.5.

²Ibid.

³Ibid.

⁴ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი., 2018., გვ. 5.

სარჩევი

ანოტაცია.....	II
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა	IV
შესავალი.....	1
1.სასაქონლო ნიშნები და მათი კონტრაქტაცია.....	2
1.1.სასაქონლო ნიშნის დეფინიცია	2
1.2.სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია	6
1.3.სასაქონლო ნიშნები და მათი კონტრაქტაცია.....	10
1.3.1.აშშ-ის საკანონმდებლო სივრცის მიმოხილვა	18
1.3.2.ქართული კანონმდებლობა.....	28
2.საერთაშორისო სამრეწველო პალატის პოლიტიკა.....	29
3.ასოცირების შეთანხმება და საქართველოს ხელისუფლება	34
3.1.ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა.....	34
3.1.1.სასაქონლო ნიშანი.....	40
3.2.„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ლონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დებულებები... 42	
3.2.1. უცხოური კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტები - ევროკავშირის რეგულაცია No 608/2013	48
3.2.2. ევროპული ზედამხედველობითი ორგანო (ობსერვატორია) ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევებთან მიმართებაში	56
3.2.3. ინფორმაციის გაცვლა.....	58
4.პროცესუალურსამართლებრივი დაცვის მექანიზმები.....	61
4.1.საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული დებულებები.....	61
4.2.პროცესუალურსამართლებრივი დაცვის მექანიზმები - გერმანია	66
4.2.1.სისხლისსამართლებრივი დანაშაული	66
4.2.2.სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენება.....	667
4.2.3.ძირითადი წარმოება.....	70
5.რეკომენდაციები	72
დასკვნა.....	73
ბიბლიოგრაფია.....	75

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

- 1) WIPO - World Intellectual Property Organization - ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია.
- 2) TRIPS - Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights - შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ.
- 3) WTO – World Trade Organization - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.
- 4) DCFTA – Deep and Comprehensive Free Trade Area - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება.
- 5) TCA - Federal Trademark Counterfeiting Act - სასაქონლო ნიშნების კონტრაფაქციის შესახებ ფედერალური კანონი.
- 6) OECD - The Organisation for Economic Co-operation and Development - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.
- 7) WCO - World Customs Organization - მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია.
- 8) BASCAP - Business Action to Stop Counterfeiting and Piracy - ბიზნეს აქტივობანი კონტრაფაქციისა და მეკობრეობის შესაჩერებლად.
- 9) EUIPO - European Union Intellectual Property Office - ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისი.

შესავალი

არისტოტელემ, ჩვ.წ. 335 წელს, ნაწარმოებში -Ars Poetica აღიარა, რომ ყველანი იმიტაციის შედეგად ვსწავლობთ.⁵ ინტელექტუალური საკუთრებით, უფლება იმიტაციაზე შეზღუდულია.⁶ ერთი და იგივე კომერციული ობიექტი შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ინტელექტუალური საკუთრების უფლებას; ერთი და იგივე ინტელექტუალური პროდუქტი კი შეიძლება დაცული იყოს რამდენიმე ინტელექტუალური საკუთრების უფლებით.⁷ მაგალითად ეტიკეტზე შეიძლება ვრცელდებოდეს ისევე, როგორც სასაქონლო ნიშნის, ასევე საავტორო უფლებები.⁸

სტოკჰოლმის კონვენციაში, რომლითაც დაარსდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO), მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების დეფინიცია.⁹ მოცემული კონვენცია გვეუბნება, რომ ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს იმ უფლებებს, რომელიც უკავშირდება: ლიტერატურას, სამეცნიერო ნამუშევრებს, ფონოგრამებს, ხელოვანების შექმნილ ნამუშევრებს, გამოგონებებს ნებისმიერ სფეროში, სამეცნიერო აღმოჩენებს, დიზაინს, სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებსა და კომერციულ სახელებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვას და ყველა სხვა ქმედებას, რომელიც ინტელექტუალური შრომის ნაყოფია: სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სამხატვრო სფეროებში.¹⁰

⁵L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.9.

⁶Ibid.

⁷LTC Harms, The Enforcement of Intellectual Property Rights; A case book, 3 rd Edition, 2012, გვ.31.

⁸Ibid.

⁹Convention Establishing the World Intellectual Property Organization (მიღებულია 1967 წლის 14 ივლისს, ძალაში შევიდა 1970 წელს), იხ: L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights,4 th Edition, გვ.9.

¹⁰Convention Establishing the World Intellectual Property Organization (მიღებულია 1967 წლის 14 ივლისს, ძალაში შევიდა 1970 წელს), Article 2(viii); იხ: L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights,4 th Edition, გვ.9.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს სასაქონლო ნიშნებსა და მათ კონტრაფაქციაზე მსჯელობის წარმართვა. ინტელექტუალურ საკუთრებას გლობალური მობილურობა ახასიათებს, სახელმწიფოებმაც მნიშვნელოვანი შრომა გაწიეს, რომ საპატენტო, საავტორო უფლებებისა თუ სასაქონლო ნიშნებზე არსებული რეჟიმების ჰარმონიზაცია შექმნილიყო.¹¹ თუმცა, არსებული კანონმდებლობები, მაინც განსხვავდება სახელმწიფოებს შორის,¹² რაზედაც ნაშრომში ყურადღება გამახვილდება, მოხდება ევროკავშირის, საქართველოსა და ამერიკის საკანონმდებლო სივრცის ანალიზი კონტრაფაქციისა და სასაქონლო ნიშნის თემატიკებთან მიმართებით.

1. სასაქონლო ნიშნები და მათი კონტრაფაქცია

1.1. სასაქონლო ნიშნის დეფინიცია

შეთანხმება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) გვეუბნება, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყნებს შემუშავებული უნდა ჰქონდეთ ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც სასაქონლო ნიშნების დაცვას ითვალისწინებს.¹³

TRIPS-ის შეთანხმების 15(1) მუხლში განსაზღვრულია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის საგანი, რომელსაც წარმოადგენს: ნებისმიერი ნიშანი, ან ნიშნის კომბინაცია, რომელსაც შეუძლია, რომ საქონელსა თუ მომსახურებასთან დაკავშირებული გარიგება განასხვავოს სხვა

¹¹Harvard College v. Canada (Commissioner of Patents) [2002] SCC 76 [12], ხელმისაწვდომია: <https://scc-csc.lexum.com/scc-csc/scc-csc/en/item/2019/index.do> იხ: L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.8.

¹²Ibid.

¹³L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.16.

გარიგებებისაგან და აქვს იმისი საფუძველი რომ წარმოადგინოს სასაქონლო ნიშანი.¹⁴ მსგავს საგნებს, კერძოდ სიტყვებს რომლებიც შეიცავენ სახელებს, ასოებს, ციფრებს, სიმბოლურ ელემენტებს, ფერთა კომბინაციებს და ასევე მსგავსი სიმბოლოების ნებისმიერი სახის კომბინაციას, უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ დარეგისტრირდეს, როგორც სასაქონლო ნიშანი.¹⁵ როდესაც ნიშნებს არ შეუძლიათ, რომ განმასხვავებელუნარიანობა შესძინოს რელევანტურ საქონელსა თუ მომსახურებას, მაშინ რეგისტრაციაუნარიანობა დამოკიდებულია იმ განმასხვავებელუნარიანობაზე, რომელიც გამოყენების შედეგად მოიპოვება.¹⁶

შესაბამისად, სასაქონლო ნიშანი უნდა შედგებოდეს: ნიშნისა თუ ნიშანთა კომბინაციისგან და უნდა ჰქონდეს იმისი უნარი, რომ ერთი საქონელი თუ მომსახურება განასხვავოს სხვა საქონლისა თუ მომსახურებისაგან.¹⁷ განმასხვავებელუნარიანობა უნდა იყოს ბოძებული ნიშნიდან გამომდინარე ან მოპოვებული გამოყენების შედეგად.¹⁸

ევროკავშირის რეგულაცია No 2017/1001 ასევე განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნის დეფინიციას და გვეუბნება, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი შედგება სიტყვების, კერძო სახელების, დიზაინის, ასოების, რიცხვების, ფერებისგან, ასევე მოიცავს საქონლის შეფუთვის, ფორმას, ბგერებს.¹⁹ 4(ა) მუხლში კი უშუალოდ საუბარია სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობაზე.²⁰ 4(ბ) მუხლი კი გვეუბნება, რომ სასაქონლო ნიშანი უნდა იყოს წარმოდგენილი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეესტრში იმ ფორმით, რა ფორმაც საშუალებას აძლევს კომპეტენტურ

¹⁴L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.17.

¹⁵Ibid.

¹⁶L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.18, იხ: „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

¹⁷L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.18.

¹⁸Ibid.

¹⁹Council Regulation 2017/1001 on the European Union Trade Mark [2017] Official Journal L 154/1, მუხლი 4.

²⁰Ibid. მუხლი 4(a).

ორგანოებსა და საზოგადოებას, რომ განსაზღვრონ მკაფიო და ზუსტი საგანი, რომელიც მისი მესაკუთრის დაცვის ქვეშაა.²¹

ევროკავშირის რეგულაციაში, ყურადღება გამახვილებული არის სიმბოლოებზე, განმასხვავებელუნარიანობაზე, სასაქონლო ნიშნის გამოსახულების/აღქმადობის დებულებებზე. საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-3(1) მუხლი კი გვეუბნება, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიმბოლოთა ერთობლიობას, რომელიც გრაფიკულად გამოსახება და ერთი საწარმოს საქონელსა თუ მომსახურებას განასხვავებს მეორე საწარმოს საქონლისა თუ მომსახურებისაგან.²² აღნიშნული კანონის 3(2) მუხლი კი აღნიშნავს, რომ სიმბოლო შესაძლოა იყოს: ადამიანის სახელი, სიტყვები, ციფრები თუ ასოები; გამოსახულებანი თუ ბგერები; სამგანზომილებიანი ფიგურა, ასევე საქონლის შეფუთვა, ფორმა, ასევე საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერთა კომბინაციისა თუ ფერის გამოყენებით.²³ საქართველოში, სასაქონლო ნიშნებად დაშვებულ სიმბოლოთა სიმრავლე არის შეზღუდული და შეიცავს მხოლოდ იმ სიმბოლოებს, სიმბოლოთა ერთობას, რომელთა გამოსახვაც შესაძლებელია გრაფიკულად.²⁴ ნიშანი შეიძლება შესრულებული იყოს, როგორც შავ-თეთრ ასევე სხვა ფერთა კომბინაციით.²⁵ სიმბოლოების გამოყენებისათვის მისი რეგისტრაცია აუცილებელი არ არის, მეტიც, სასაქონლო ნიშნის დამკვიდრებისა და უფლების მოპოვების ერთ-ერთ საშუალებას მისი ხანგრძლივი, ინტენსიური გამოყენება წარმოადგენს.²⁶ მაგამ, რეგისტრაცია წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის დაცვის სათანადო გარანტს.²⁷ სასაქონლო

²¹Council Regulation 2017/1001 on the European Union Trade Mark [2017] Official Journal L 154/1, მუხლი 4(b).

²²„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

²³Ibid. მე-3 მუხლის მეორე პუნქტი .

²⁴<http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/167/>

²⁵Ibid.

²⁶Ibid.

²⁷Ibid.

ნიშნის რეგისტრაციისათვის აუცილებელია, რომ მას გააჩნდეს საკმარისი განმასხვავებელუნარიანობა.²⁸

შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის მიხედვით სასაქონლო ნიშნისათვის მნიშვნელოვანია რომ არსებობდეს: 1) სიმბოლო; 2) სიმბოლოს გრაფიკული გამოსახულება და 3) მისი განმასხვავებელუნარიანი ბუნება.²⁹ მსგავსი მსჯელობაა წარმართული საქმეში: შპს ღუსონი, სასაქონლო ნიშნის მარეგისტრირებლის წინააღმდეგ (*Dyson Ltd v. Registrar of Trademarks*), სადაც სასამართლომ თქვა, რომ სამი პუნქტი უნდა გვიკმაყოფილდებოდეს იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანი იყოს სახეზე: 1) ეს უნდა იყოს ნიშანი; 2) ნიშანი უნდა გამოიხატებოდეს გრაფიკულად; 3) ნიშანს უნდა ჰქონდეს განმასხვავებელუნარიანობა სხვა საქონელსა თუ მომსახურებასთან მიმართებით.³⁰ ზემოთმოხმობილი კანონმდებლობების შეჯერების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასაქონლო ნიშნის განმარტების პროცესში აღნიშნული სამი კრიტერიუმი მნიშვნელოვან ხასიათს ატარებს, ხოლო კანონმდებლობები თავის მხრივ ერთმანეთის დებულებებს იმეორებენ. მოხმობილი კანონმდებლობების საფუძველზე, ასევე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანი ფუნქცია, რაც სასაქონლო ნიშანს აკისრია ეს არის, რომ განასხვავოს სასაქონლო ნიშნის მფლობელის საქონელი თუ მომსახურება სხვათა საქონლისა თუ მომსახურებისაგან.³¹ ნიშანი კი, რომელსაც განმასხვავებელუნარიანობა არ გააჩნია ვერ დარეგისტრირდება და თუ ასეთი

²⁸<http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/167/>

²⁹საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი, სასაქონლო ნიშანი, 2016, გვ. 3.

³⁰C-49/02 *Heidelberger Bauchemie GmbH* [2004] ECR I – 1629, პარ 22. ხელმისაწვდომია: <http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?docid=49315&pageIndex=0&doclang=EN&dir=&occ=first&part=1&cid=12517604>, იხ: C-321/03 *Dyson Ltd. v. The Registrar of Trade Marks* [2007] ECR I – 687, პარ28. ხელმისაწვდომია: <http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=65304&pageIndex=0&doclang=en&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=12521497>, იხ: L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.18.

³¹L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.19.

ნიშანი დარეგისტრირებულია, მაშინ მსგავსი რეგისტრაცია ძალადაკარგულია.³²

ზოგიერთი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლება გარკვეული ფორმალობების არსებობაზეა დამოკიდებული, მაგალითად: პატენტი, დიზაინი და სასაქონლო ნიშნები რეგისტრაციას ექვემდებარებიან და ისინი აღსრულებადნი არიან იმის შემდეგ, რაც ამ უფლების-რეგისტრაციის მინიჭება მოხდება.³³

1.2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის, უნდა წარედგინოს განაცხადი რეგისტრაციის შესახებ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისს, რომელსაც გააჩნია ძალა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მათ შორის: ავსტრიაში, ბელგიაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, კიპროსში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, დანიაში, ესტონეთში, ფინეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში, საბერძნეთში, უნგრეთში, ირლანდიასა და იტალიაში, ლატვიაში, ლიტვაში, ლუქსემბურგსა და მალტაში, პოლანდიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუმინეთში და სხვა.³⁴ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომ მოხდეს კონკრეტულ ქვეყანაში, მაშინ კონკრეტული ქვეყნის ეროვნულ სასაქონლო ნიშნის ოფისში უნდა განხორციელდეს რეგისტრაცია, მაგ: ესპანეთის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისში.³⁵

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისას, ორმხრივი სისტემა მოქმედებს, კერძოდ, სასაქონლო ნიშნის მფლობელებმა

³² C- 353/03 *Société des produits Nestlé SA v Mars UK Ltd* [2005] ECR I 6135, პარ 23. ხელმისაწვდომია:

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62003CJ0353&from=EN>

³³ L.T.C. Harms, *A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights*, 4 th Edition, გვ.9.

³⁴ <https://www.ip-coster.com/IPGuides/eu-trademark>

³⁵ <https://harrisbricken.com/blog/differences-u-s-eu-trademark-law-overview/>

შეიძლება საკუთარი ნიშნები დაარეგისტრირონ ისევე, როგორც შტატების დონეზე, ასევე ფედერალურ მთავრობასთან ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისის მეშვეობით.³⁶ ლანჰამ აქტის (Lanham Act) მიხედვით, ფედერალური რეგისტრაციით, სასაქონლო ნიშნის მფლობელი იძენს მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე იმ უფლებებს, რომელიც ამ შემთხვევაში სასაქონლო ნიშანს უკავშირდება.³⁷ მაშინ, როდესაც შტატებში განხორციელებული რეგისტრაცია, მხოლოდ იმ შტატში იცავს სასაქონლო ნიშანს, სადაც მისი რეგისტრაცია მოხდა.³⁸ ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სასაქონლო ნიშნის გამომცემებელმა შეიძლება შეიძინოს გარკვეული უფლებები იმ დროს, როდესაც ის არის პირველი, რომელმაც აღნიშნული ნიშანი გამოიყენა ვაჭრობაში, მაშინაც კი როდესაც ნიშანი დაარეგისტრირებული არ არის.³⁹ ევროპის კავშირში კი აუცილებელია მოხდეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომ მას მიენიჭოს დაცვა.⁴⁰ ევროპის კავშირში არსებული სისტემის მსგავსად, საქართველოში, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება, სასაქონლო ნიშნის დაცვა, მისი რეგისტრაციის გზით ხდება, უშუალოდ საქპატენტში.⁴¹ საქართველოში, იმისათვის, რომ მოხდეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, თავდაპირველად, განაცხადი „საქპატენტს“ უნდა წარედგინოს.⁴² განაცხადი უნდა შეიცავდეს: მოთხოვნას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე, გამოსახულებას სასაქონლო ნიშნისა, ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ, საქონლის ჩამონათვალს,

³⁶<https://harrisbricken.com/blog/differences-u-s-eu-trademark-law-overview/>

³⁷Ibid.

³⁸Ibid.

³⁹Ibid.

⁴⁰Ibid.

⁴¹ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“, სასაქონლო ნიშანი, 2016, გვ.3. იხ: „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მესამე პუნქტი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

⁴² სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“, სასაქონლო ნიშანი, 2016, გვ.8. იხ: „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

რომლისთვისაც ხდება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, განმცხადებლისა თუ წარმომადგენლის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერას და სხვ.⁴³

ამერიკის შეერთებულ შტატებში, რეგისტრაციისას, ორი სახის განაცხადი არსებობს, პირველი სახის განაცხადს ჰქვია „კომერციაში გამოყენება - Use in commerce“ მეორეს კი - „განვიზრახავ, რომ გამოვიყენო - Intend to use“,⁴⁴ თუკი პირველი სახის განაცხადთან გვაქვს კავშირი, მაშინ განაცხადი უნდა შეიცავდეს თარიღს, რომელიც შეეხება განმცხადებლის მიერ სასაქონლო ნიშნის პირველად გამოყენებას და თარიღს, რომელიც ამერიკის ტერიტორიაზე აღნიშნული ნიშნის გამოყენებას ეხება.⁴⁵ თუკი მეორე სახის განაცხადი გვაქვს სახეზე, მაშინ უნდა არსებობდეს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება ხდება.⁴⁶ აღნიშნული კი იმ 30 დღიანი პერიოდის შემდეგ უნდა დამტკიცდეს, როდესაც აშშ-ს საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისი გამოაქვეყნებს იმ სასაქონლო ნიშნების ნუსხას, რომლის რეგისტრაციასაც ის გეგმავს.⁴⁷ რისი მიზანიც რეალურად არის ხალხისათვის ინფორმაციის მიწოდება იმ სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომლის რეგისტრაციაც იგეგმება.⁴⁸ შესაძლებელია, რომ მტკიცებულებების მიწოდების პერიოდი 6 თვით გაიზარდოს იმის შემდეგ, რაც სასაქონლო ნიშნებზე რეგისტრაციის პროცედურები დასრულდება.⁴⁹

ევროკავშირის სისტემაში კი არ მოიძებნება ისეთი მოთხოვნა, რომელიც სასაქონლო ნიშნის კომერციული/სავაჭრო ტიპის უერთიერთობებში ჩართულობას მოითხოვს, იმ მომენტში, როდესაც ხდება სასაქონლო ნიშნის

⁴³ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“, სასაქონლო ნიშანი, 2016, გვ.8. იხ: „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტი.

⁴⁴<https://harrisbricken.com/blog/differences-u-s-eu-trademark-law-overview/>

⁴⁵Ibid.

⁴⁶Ibid.

⁴⁷<https://harrisbricken.com/blog/differences-u-s-eu-trademark-law-overview/>

იხ:<https://www.myattorneyhome.com/Glossary/opposition-period>

⁴⁸<https://www.myattorneyhome.com/Glossary/opposition-period>

⁴⁹<https://harrisbricken.com/blog/differences-u-s-eu-trademark-law-overview/>

რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანა.⁵⁰ რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი მაშინაც შეიძლება დარეგისტრირდეს, როდესაც სასაქონლო ნიშნის მფლობელი არ იყენებს მას ან არ აქვს განზრახვა მისი გამოყენების შესახებ.⁵¹ თუმცა, თუკი სასაქონლო ნიშანი ზედიზედ 5 წლის განმავლობაში არ არის გამოყენებაში, მაშინ დაინტერესებულ პირს შეუძლია, რომ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისში შეიტანოს განაცხადი და მოითხოვოს რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადება⁵² ევროკავშირის კანონმდებლობის მსგავსად, არც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს წინარე რეგისტრაციის პერიოდში სასაქონლო ნიშნის სავაჭრო უერთიერთობებში ჩართულობის წარმოჩენის ვალდებულებას, თუმცა მსგავსად ევროკავშირის კანონმდებლობისა, ქართული კანონმდებლობა გვეუბნება, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, სასამართლო, მესამე პირის მოთხოვნისდა მიხედვით, აუქმებს, იმ შემთხვევაში, თუკი სასაქონლო ნიშანი, არ გამოიყენებოდა იმ საქონელზე, რომელთან მიმართებითაც იყო ნიშანი, საქართველოში, რეგისტრირებული, უწყვეტად, 5 წლის მანძილზე.⁵³

როგორც ვხედავთ, საქართველოსა და ევროკავშირში, იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშნის დაცვა მოხდეს უნდა განხორციელდეს მისი რეგისტრაცია. მიმაჩნია, რომ ეს არის ის მნიშვნელოვანი დებულება რაც ევროკავშირის, საქართველოს სისტემას განასხვავებს ამერიკის სისტემისაგან.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს რომ მან გამოიყენოს ის:⁵⁴ საქონელსა თუ მომსახურებაზე, რომლისთვისაც ნიშანი არის რეგისტრირებული; ხელი შეუშალოს სხვა პირებს,

⁵⁰<https://harrisbricken.com/blog/differences-u-s-eu-trademark-law-overview/>

⁵¹Ibid.

⁵²Ibid.

⁵³ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“, სასაქონლო ნიშანი, 2016, გვ.12. იხ: „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მეორე პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი.

⁵⁴L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.21.

რომ მათ დაარეგისტრირონ მფლობელის სასაქონლო ნიშანი ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი იმავე ან მსგავს საქონელსა თუ მომსახურებაზე; ასევე ხელი შეუშალოს სხვა პირებს სასაქონლო ნიშნის გაყალბებისაგან; სასაქონლო ნიშნის გამოყენება დააყრდნოს ლიცენზირებას; განახორციელოს სასაქონლო ნიშნის გადაცემა.⁵⁵ ჩვენს შემთხვევაში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და შესაბამისად, ყურადღება გამახვილდება სასაქონლო ნიშნის გაყალბების დებულებებზე, მის სავალალო შედეგებზე და მისგან თავდაცვის მექანიზმების არსებობა/შემუშავებაზე.

1.3. სასაქონლო ნიშნები და მათი კონტრაფაქცია

სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევა, რომელიც ამავდროულად კონტრაფაქციაა, წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას, მაშინ, როდესაც მხოლოდ სასაქონლო ნიშანზე უფლებათა დარღვევა მიეკუთვნება სამოქალაქო სამართლის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას.⁵⁶ კონტრაფაქცია შესაძლებელია, რომ თაღლითობის ერთ-ერთ სახედაც ჩავთვალოთ.⁵⁷ თუმცა, კონტრაფაქციად ქმედება არ ჩაითვლება, თუკი იგი ამავდროულად არ წარმოადგენს, სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევას.⁵⁸

TRIPS-ის შეთანხმება, განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნის კონტრაფაქციის მნიშვნელობას და გვეუბნება, რომ: ნებისმიერი საქონელი თუ შეფუთვა, რომელზედაც ნებართვის გარეშე არის დატანებული სასაქონლო ნიშანი და იდენტურია იმ სასაქონლო ნიშნის, რომელიც ვალიდურად რეგისტრირებულია მსგავს საქონელზე, ან რომელიც შეუძლებელია, რომ განვასხვავოთ მსგავსი

⁵⁵L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.21.

⁵⁶Ibid. გვ.143.

⁵⁷Ibid.

⁵⁸Ibid.

სასაქონლო ნიშნისგან და რაც ამავდროულად არღვევს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს იმპორტიორის ქვეყნის სამართლის დებულებებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ყალბი/კონტრაფაქციურული სასაქონლო ნიშნის საქონელს.⁵⁹ იმპორტიორის ქვეყანაზე აქცენტი იმიტომ გაკეთდა, რომ თავად აღნიშნული განმარტება, TRIPS-ის შეთანხმებაში, მოცემულია საბაჟო სექტორის ვალდებულებების კონტექსტში.⁶⁰

კონტრაფაქცია მეტია, რაც სასაქონლო ნიშანზე უფლებათა დარღვევაა: ყველა მსგავსი ქმედება კონტრაფაქციას როდი წარმოადგენს.⁶¹ სასაქონლო ნიშანზე უფლებათა დარღვევა, ზოგადად მოიცავს შემდეგ სიტუაციას: უფლებათა დამრღვევის სასაქონლო ნიშანი, იმდენად მსგავსია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის, რომ ნიშნების აღრევადობა იქმნება.⁶² კონტრაფაქციის დასადგენად, ე.წ. აღრევადობის ტესტი საკმარისი არ არის.⁶³ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კონტრაფაქციას თუ: 1) ის იდენტურია ან 2) განუსხვავებელი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისაგან.⁶⁴ ნოკიას კომპანია მისი უდიდებულესობის შემოსავლების & საბაჟო კომისრების წინააღმდეგ (*Nokia Corporation v. Her Majesty's Commissioners of Revenue & Customs*) საქმეში კი სასამართლომ თქვა, რომ კონტრაფაქციისას, რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე ირღვევა უფლებები.⁶⁵

TRIPS-ის შეთანხმების 61-ე მუხლი შეიცავს დებულებას, რომელიც შეეხება კონტრაფაქციის კრიმინალიზაციას მაშინ, როდესაც სასაქონლო ნიშნის

⁵⁹Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (ძალაში შევიდა 1995 წლის პირველ იანვარს) Footnote 14(a), გვ.342, იხ: L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.144.

⁶⁰L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ. 144.

⁶¹Ibid.

⁶²Ibid.

⁶³Ibid.

⁶⁴Ibid. გვ.146-147.

⁶⁵Nokia Corporation v. Her Majesty's Commissioners of Revenue & Customs [2009] EWHC 1903 (Ch) [20] ხელმისაწვდომია: <http://www.bailii.org/ew/cases/EWHC/Ch/2009/1903.html> იხ: L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.144.

კონტრაფაქცია ხდება განზრახ, კომერციულ სივრცეში. ⁶⁶ ამავე კონტექსტში, შემდეგ გარემოებებსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: ნიშანზე, რომ გავრცელდეს დაცვა, იგი უნდა იყოს რეგისტრირებული და რეგისტრაცია უნდა იყოს ვალიდური/სამართლებრივი ძალის მქონე. ⁶⁷ ასევე, კონტრაფაქციის განმახორციელებელი არ უნდა ფლობდეს სათანადო ნებართვას და აღნიშნულ ქმედებას უნდა ანხორციელებდეს განზრახ. ⁶⁸ კონტრაფაქცია ადგილს უნდა იკავებდეს კომერციულ სივრცეში და თავად ე.წ. გაყალბებული ნიშანი უნდა იყოს იდენტური ან განუსხვავებელი რეგისტრირებული ნიშნისაგან.⁶⁹

ფიშერი ფორესტის წინააღმდეგ (*Fisher v. Forrest*) საქმეში ითქვა, რომ როდესაც ხდება რეალურად სასაქონლო ნიშნების შედარება, ყურადღება ექცევა საშუალო მომხმარებლის/მყიდველის პოზიციას, ჩათვლის თუ არა ის, რომ შესაძლო კონტრაფაქციურებული ნიშანი არის არსებითად განუსხვავებელი რეგისტრირებული ნიშნისაგან. ⁷⁰ როდესაც ხდება სასაქონლო ნიშნების შედარება, მათი განხილვა არ უნდა მოხდეს აბსტრაქტულ ვითარებაში, არამედ, შესაძლოდ კონტრაფაქციურებული საქონლის შედარება, რეგისტრირებულ საქონელთან მიმართებით, უნდა მოხდეს იმ ფაქტორის გათვალისწინებით, თუ როგორ არის ის წარმოდგენილი, საშუალო მომხმარებლისათვის, უშუალოდ გაყიდვებში/ვაჭრობაში.⁷¹

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება, ორიგინალი, რეგისტრირებული ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე უნდა წარიმართოს, რათა კონტრაფაქციაზე ვისაუბროთ, რაც ლოგიკურიცაა,

⁶⁶L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.144.

⁶⁷Ibid.

⁶⁸Ibid.

⁶⁹Ibid.

⁷⁰James H. Fischer v. Stephen T. Forrest Jr., Sandra F. Forrest, Shane R. Gebauer and Brushy Mountain Bee Farm, Inc., United States District Court Southern District of New York., 1:14-cv-01304-PAE-AJP., გვ.26., ობ: L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ. 147.

⁷¹Ibid.

რადგან, თუკი მფლობელის ნებართვა გვაქვს, მაშინ უფლების დარღვევა სახეზე ვერ გვეჩნება.⁷²

კიდევ ერთ დამატებით კრიტერიუმზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც მიემართება იმ დებულებას, რომ კონტრაფაქცია აუცილებლად განზრახ ქმედებას წარმოადგენს.⁷³ TRIPS-ის მინიმალურ მოთხოვნას, კონტრაფაქციასთან მიმართებით, სწორედ რომ განზრახულობის ელემენტი წარმოადგენს.⁷⁴ ამ შემთხვევაში კი განზრახვას წარმოადგენს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.⁷⁵ ამ მხრივ, სასამართლო პრაქტიკაში, საინტერესო მსჯელობაა განვითარებული, რომელიც შეეხება განზრახი სიბრმავის (willful blindness) კონცეპტს.⁷⁶ რ, ბორგეს წინააღმდეგ (*R.v.Borge*) გადანწყვეტილებაში, სასამართლომ გაიზიარა willful blindness-ის ტესტი, რომელიც მოცემული იყო გადანწყვეტილებაში რ, სანსრეგრეტის (*R.v. Sansregret*) წინააღმდეგ და თქვა, რომ willful blindness არ წარმოადგენს მხოლოდ გამოკვლევების წარმოების შეუსრულებლობას, არამედ ის ასევე შეიცავს იმ სუბიექტურ ელემენტს, რომელიც ექვივალენტურია ფაქტობრივი ცოდნის.⁷⁷ უფრო ზუსტად კი, *R.v. Sansregret*-ში სასამართლომ თქვა, რომ willful blindness წარმოადგენს ქმედებას, როდესაც კონკრეტულმა პირმა იცის, რომ უნდა ჩაატაროს გარკვეული კვლევები, მაგრამ უარს აცხადებს მათ განხორციელებაზე, რადგან არ უნდა რომ სიმართლე გაიგოს და ურჩევნია რომ იგი დააიგნორროს.⁷⁸

⁷²L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.147.

⁷³Ibid.

⁷⁴Ibid. გვ.148.

⁷⁵United Nations Conference on Trade and Development, TRIPS Flexibilities and Anti-Counterfeit Legislation in Kenya and the East African Community: Implications for Generic Producers, an UNCTAD – UNIDO Discussion Paper, 2016, გვ.10.

⁷⁶ L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.148.

⁷⁷ R v. Borge [2007] CanLII 36083 (ON SC) ხელმისაწვდომია: <https://www.canlii.org/en/on/onsc/doc/2007/2007canlii36083/2007canlii36083.html> იხ: L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ 148.

⁷⁸Sansregret v. The Queen [1985] 1 SCR 570 [22] ხელმისაწვდომია: <https://scc-csc.lexum.com/scc-csc/scc-csc/en/item/53/index.do> იხ: L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ 148 -149.

სხვადასხვა სამართლით, განსხვავებული მოწესრიგებაა გათვალისწინებული ე.წ. *mens rea* - შეგნებულ დამნაშავეობასთან მიმართებით.⁷⁹ სისხლისსამართლებრივი პასუხისგება აუცილებლად შეზღუდული არ არის ე.წ. შეგნებულობის ელემენტით.⁸⁰ ბევრ ქვეყანაში, თავად ბრალდებულმა უნდა ამტკიცოს, რომ *mens rea* კონკრეტულ სიტუაციაში არ იკვეთებოდა.⁸¹ მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ბარბალოსში, იამაიკაში ბრალდებულის დაცვას წარმოადგენს იმისი მტკიცება, რომ ბრალდებულს გონივრულ საფუძვლებზე დაყრდნობით სჯეროდა, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება არ წარმოადგენდა რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებზე უფლებათა დარღვევას.⁸² აქედან მომდინარეობს ის, რომ თავად განზრახვის არსებობა მოგების მიღების მიზნით ან ზიანის მიყენების მიზნებიდან გამომდინარე უნდა დაამტკიცოს პროკურატურამ, თუმცა ბრალდებულმა აპელირება უნდა მოახდინოს გონივრული საფუძვლებიდან გამომდინარე იმაზე, რომ მისი ქმედება მისი შეცნობით, იყო უდანაშაულო.⁸³ თუმცა, განზრახულობის არარსებობა, სასაქონლო ნიშნებზე უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, ბრალდებულისათვის დაცვის კრიტერიუმს არ წარმოადგენს.⁸⁴ ბარბალოსში მაგალითად სასაქონლო ნიშანზე უფლებათა დარღვევა კრიმინალიზირებულია, თუკი აღნიშნული განხორციელდა შეგნებულად.⁸⁵ მაშინ, როდესაც სინგაპურში მაგალითად, კონტრაფაქციურებული საქონლის იმპორტირება დასჯადია, მანამდე სანამ ბრალდებული არ დაამტკიცებს რომ მისი ქმედება არაგანზრახული იყო.⁸⁶

კიდევ ერთ დებულებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ კონტრაფაქცია უნდა არსებობდეს კომერციულ სივრცეში, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი,

⁷⁹L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.149.

⁸⁰Ibid.

⁸¹Ibid.

⁸²Ibid.

⁸³Ibid.

⁸⁴Ibid.

⁸⁵Ibid.

⁸⁶Ibid.

რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის ქმნის არაუფლებამოსილ, იდენტურ საქონელს, არ სჩადის დანაშაულს - კონტრაფაქციას.⁸⁷ არც გაყალბებული საათის მყიდველი ჩადის დანაშაულს, თუკი მისი შემდგომი რეალიზება არ ხდება.⁸⁸ მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ქვეყნების შეხედულებები იყოფა. მაგალითად, ამერიკის ფედერალური სამართალი არ კრძალავს კონტრაფაქციურებული საქონლის შესყიდვას, პერსონალური გამოყენებისათვის.⁸⁹

მაგრამ, საფრანგეთს აქვს განსხვავებული რეგულაცია და მაქსიმალურ ჯარიმად, გაყალბებული საქონლის შესყიდვისათვის განსაზღვრავს 300,000 ევროს ან სამი წლით თავისუფლების აღკვეთას.⁹⁰

საფრანგეთის მაგალითს უფრო, რომ ჩავუღრმავდეთ - საბაჟო კოდექსი გვეუბნება, რომ ჯარიმები განსაზღვრულია თითოეული პროდუქტის ერთმაგი ან ორმაგი ფასის ოდენობიდან გამომდინარე.⁹¹ თუკი კანონდარღვევა ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ჯარიმა შესაძლოა, რომ ათჯერ გაიზარდოს ობიექტის ღირებულებიდან გამომდინარე.⁹² ზოგადად თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ პერიოდად 3 წელია განსაზღვრული, ხოლო ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევაში ეს რიცხვი ათ წლამდეა გაზრდილი.⁹³ სისხლის სამართლის კოდექსი კი გვეუბნება, რომ: როდესაც მომხმარებელი კონტრაფაქციურ პროდუქციას იძენს საზღვარგარეთ, იგი არის რისკის ქვეშ, მას შესაძლოა, რომ დაეკისროს სამ წლამდე თავისუფლების

⁸⁷L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.150.

⁸⁸Ibid.

⁸⁹<https://consumer.findlaw.com/consumer-transactions/buying-counterfeit-goods-laws-and-resources.html>

⁹⁰<https://www.telegraph.co.uk/finance/newsbysector/retailandconsumer/7969335/Fake-goods-are-fine-says-EU-study.html>

⁹¹European Consumer Center, Co-funded by the European Union, The impact of counterfeiting on online consumer rights in Europe, The risks of buying counterfeits on the Internet, and tips from the ECC-Net for consumers in Europe who want to avoid unpleasant surprises due to these products, 2017, გვ.21.

⁹²Ibid.

⁹³Ibid.

აღკვეთა ან ჯარიმა 300,000 ევროს ოდენობით.⁹⁴ შესაბამისად, საფრანგეთში მოქმედებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა (no tolerance policy) და შემსყიდველმაც შეიძლება, რომ ამ კუთხით დანაშაული ჩაიდინოს.⁹⁵ დიდი ბრიტანეთიც მსგავს პოლიტიკას ატარებს და დასჯად ქმედებად გაყალბებული საქონლის შესყიდვასაც მოიაზრებს, ყოფილა შემთხვევები, როდესაც კონტრაფაქციურებული, შესყიდული საქონელი, დიდი ბრიტანეთის საზღვარზეც ამოუღიათ საბაჟო ორგანოს წარმომადგენლებს.⁹⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196(1) მუხლის მიხედვით, დიდი ოდენობით, სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო დამზადება თუ მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენება, ასევე სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული, საქონლის წარმოება, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, რაც მნიშვნელოვან ზიანს იწვევს, ისჯება: გამოსასწორებელი სამუშაოთი ან ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ორივე შემთხვევაში, ორ წლამდე ვადით.⁹⁷ სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო დამზადებას დიდი ოდენობით, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მათი საერთო ოდენობა 1000 ცალს აღემატება.⁹⁸ დანაშაული კი მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად მაშინ ითვლება, როდესაც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი ან წარმოებული, იმ საქონლის ღირებულება, რომელიც სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებულია, 5000 ლარს სჭარბობს.⁹⁹

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლის მიხედვით კი სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო დამზადება თუ მათი სხვაგვარი უკანონო

⁹⁴European Consumer Center, Co-funded by the European Union, The impact of counterfeiting on online consumer rights in Europe, The risks of buying counterfeits on the Internet, and tips from the ECC-Net for consumers in Europe who want to avoid unpleasant surprises due to these products, 2017, გვ.21.

⁹⁵L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.150.

⁹⁶<https://www.telegraph.co.uk/finance/newsbysector/retailandconsumer/7969335/Fake-goods-are-fine-says-EU-study.html>

⁹⁷საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 196-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁸Ibid. მუხლი 196 - შენიშვნა.

⁹⁹Ibid.

გამოყენება, ასევე, სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული საქონლის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ან წარმოება 500 ლარიდან 1000 ლარამდე დაჯარიმებას იწვევს, რასაც თან სდევს საქონლისა და მისი დამზადებისათვის, საჭირო მონყობილობებისა და მასალების კონფისკაცია.¹⁰⁰ ამავე კოდექსის 158(2) მუხლი, კი გვეუბნება, რომ იგივე ქმედება, რომელიც ჩადენილია განმეორებით, ერთი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან, გამოიწვევს პირის 1000 ლარიდან 3000 ლარამდე დაჯარიმებას, რასაც თან სდევს საქონლისა და მისი დამზადებისათვის საჭირო მონყობილობებისა თუ მასალების კონფისკაცია.¹⁰¹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლის შენიშვნა კი გვეუბნება, რომ სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული საქონელი ჩამორთმევას ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის უფლების მფლობელს გადაეცემა მისივე მოთხოვნიდან გამომდინარე, მისი დამზადებისათვის საჭირო მონყობილობები და მასალები კი ექვემდებარება განადგურებას.¹⁰² როგორც ვხედავთ, საქართველოში, კონტრაფაქციული საქონლის შესყიდვა დასჯადი არ არის, თუმცა, თუკი მსოფლიო პრაქტიკას გადავხედავთ, ზემოთმოხმობილმა რამდენიმე სახელმწიფოს მაგალითმა ცხადყო, რომ ცალკეულ სახელმწიფოებში, კონტრაფაქციული საქონლის შესყიდვა დასჯად ქმედებას წარმოადგენს.¹⁰³ მიმაჩნია, რომ საფრანგეთში გატარებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა კონტრაფაქციასთან ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ ხერხს წარმოადგენს. კარგი იქნება, თუკი საქართველოც აღნიშნული პრაქტიკის მიმდევარი გახდება, მოხდება კონტრაფაქციული საქონლის შესყიდვის დასჯაც, რაც აისახება საქართველოს სისხლის

¹⁰⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის., 158-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰¹ Ibid. 158-ე მუხლის მეორე პუნქტი.

¹⁰² Ibid. 158-ე მუხლის შენიშვნა.

¹⁰³ European Consumer Center, Co-funded by the European Union, The impact of counterfeiting on online consumer rights in Europe, The risks of buying counterfeits on the Internet, and tips from the ECC-Net for consumers in Europe who want to avoid unpleasant surprises due to these products, 2017, გვ.20.

სამართლის კოდექსში და რაც გამოიწვევს იმას, რომ საბაჟო სექტორები რეაგირებას უკვე შესყიდულ, კონტრაფაქციულ საქონელზე განახორციელებენ.

ზოგადად, კონტრაფაქცია არ ხდება ნაკლებად ცნობილი ნიშნების, ხშირად კონტრაფაქციისას გამოიყენება ცნობილი ნიშნები, რადგან სწორედ ამ ნიშნების სახელი ასოცირდება ფულად რესურსთან.¹⁰⁴ ადამიანების განსაზღვრული წრე ყიდულობს კონტრაფაქციულ საქონელს, განზრახ.¹⁰⁵ თუმცა, კონკრეტული პირი ვერ დაეყრდნობა იმ არგუმენტს, რომ მყიდველი ვერ ან არ იყო შეცდომაში შეყვანილი იმისდა გამო, რომ მაგალითად საქონლის ფასი ან საქონლის ხარისხი იყო დაბალი.¹⁰⁶

1.3.1. აშშ-ის საკანონმდებლო სივრცის მიმოხილვა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სასაქონლო ნიშნების კონტრაფაქციის შესახებ ფედერალური კანონის (Federal Trademark Counterfeiting Act) მთავარი მიზანი გახლდათ ჯარიმების გაზრდა სასაქონლო ნიშნების გაყალბების საქმეებზე.¹⁰⁷ საკანონმდებლო ისტორიის მიხედვით სისხლისსამართლებრივი ჯარიმების შემოღება აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი ჯარიმების არსებობა საკმარისი არიყო გამყალბებლების შესაჩერებლად, რომლებიც სამოქალაქო სამართლებრივ ჯარიმებს ბიზნესის კეთების ღირებულებად აღიქვავდნენ.¹⁰⁸ შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი ჯარიმების არარსებობამ და არასაკმარისად მკაცრმა

¹⁰⁴L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition, გვ.145.

¹⁰⁵Ibid. გვ.146.

¹⁰⁶Ibid.

¹⁰⁷McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 991.

¹⁰⁸Ibid.

სანქციებმა ვერ შეაჩერა გამყალბებლები, რომლებიც მხოლოდ ამერიკის ტერიტორიაზე მომხმარებლებს მილიონობით დოლარს აკარგვინებდა.¹⁰⁹ აქტის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი სანქციები განისაზღვრა იმგვარ ემედებაზე, რომელიც მოიცავს გაყალბებული საქონლის განზრახ, გააზრებულ გაყიდვას.¹¹⁰ მოხმობილი აქტის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც განზრახ ყიდის საქონელსა თუ მომსახურებას და ასევე განზრახ იყენებს გაყალბებულ სასაქონლო ნიშანს ამგვარ საქონელთან თუ მომსახურებასთან მიმართებით, დამნაშავეა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენისათვის.¹¹¹ ამერიკაში, Federal Trademark Counterfeiting Act - ის, შემდგომში TCA მიზნებიდან გამომდინარე, კონტრაფაქციული სასაქონლო ნიშანი ნიშნავს გაყალბებულ ნიშანს: ¹¹² 1. რომელიც გამოიყენება არაუფლებამოსილი ვაჭრობისას ნებისმიერ საქონელსა თუ მომსახურებაზე, ეტიკეტსა თუ შეფუთვაზე, ყუთსა თუ კონტეინერზე; 2. რომელიც იდენტურია ან არსებითად განურჩეველი ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისგან და გამოყენებაშია, მიუხედავად იმისა იცოდა თუ არა გამომყენებელმა ასეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ; 3. რომელიც დატანილია ან მოიხმარება იმ საქონელთან თუ მომსახურებასთან ერთად, რომელი საქონლისა თუ მომსახურებისთვისაც არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, ან დატანილია თუ შედგება იმ ეტიკეტის, შეფუთვის, ყუთისა თუ კონტეინერისგან რომელიც რაიმე ფორმით დაკავშირებულია იმ საქონელსა თუ მომსახურებასთან, რომლისთვისაც სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებული შტატების

¹⁰⁹McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 991.

¹¹⁰Ibid. გვ. 994.

¹¹¹Ibid.

¹¹²Ibid.

პატენტისა და სასაქონლო ნიშნების ოფისში და 4. მსგავსი სახის გამოყენება წარმოშობს აღრევალობას, შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი.¹¹³

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი, Lanham -ის აქტი ასევე განსაზღვრავს კონტრაფაქციას, როგორც გაყალბებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც იდენტური ან განურჩეველია რეგისტრირებული ნიშნისგან.¹¹⁴

TCA-ის მიხედვით, კონტრაფაქცია მოიაზრებს განზრახ საქონლისა თუ მომსახურების გაყიდვას, რაზედაც ასევე განზრახ გამოყენებულია გაყალბებული სასაქონლო ნიშანი.¹¹⁵ შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისგება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში თუკი გაყალბებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება განზრახ არ ხდება ან პირი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.¹¹⁶

TCA-ით განსაზღვრული დებულებები ირღვევა, როდესაც პირი იყენებდეს იმ კონტრაფაქციულ ნიშანს, რომლის ორიგინალი ნიშანი რეგისტრირებულია და გამოყენებაშია მისი მფლობელის მიერ.¹¹⁷ შესაბამისად, როდესაც შესაძლო კონტრაფაქციაზე ვსაუბრობთ, ორიგინალი სასაქონლო ნიშანი უნდა იყოს რეგისტრირებული და გამოყენებული მისი მფლობელის მიერ.¹¹⁸ პირი ვერ იქნება დამნაშავე კონტრაფაქციის ჩადენაში იმ შემთხვევაში თუკი სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია, მაგრამ არ არის გამოყენებაში მისი მფლობელის მიერ ან გამოყენებაშია მაგრამ არ არის რეგისტრირებული.¹¹⁹ გამყალბებელი ასევე უნდა იყენებდეს გაყალბებულ სასაქონლო ნიშანს იმ საქონელსა თუ

¹¹³McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.994-995.

¹¹⁴Ibid. გვ.997.

¹¹⁵Ibid.

¹¹⁶Ibid.

¹¹⁷Ibid. გვ. 998.

¹¹⁸McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 998, ობ: 18 U.S. Code § 2320. (f)(A)(ii) Trafficking in counterfeit goods or services, ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2320>

¹¹⁹ McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 998.

მომსახურებაზე, რომელიც სპეციალურად იდენტიფიცირებულია რეგისტრაციის გზით.¹²⁰

TCA სისხლისსამართლებრივ პასუხისგებას კონკრეტულ პირს ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი, სასაქონლო ნიშანი არის იდენტური ან არსებითად განურჩეველი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისგან.¹²¹ საკანონმდებლო აქტი არ განმარტავს ტერმინს - არსებითად განურჩეველი, თუმცა თუკი მოვიხმობთ საკანონმდებლო ისტორიას, კონგრესის განზრახვას აღნიშნულ შემთხვევაში მოცემული ტერმინის სასამართლო გადაწყვეტილებების (case-by-case) სტანდარტის საფუძველზე განხილვა წარმოადგენდა.¹²² კონგრესის სურვილს წარმოადგენდა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისგების დადგენისას მსგავსების მაღალი სტანდარტი დაედგინა, ვიდრე სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისგების დადგენისას, როდესაც მსგავსება დგინდება აღრევალობიდან გამომდინარე.¹²³ „არსებითად განურჩეველი“ სტანდარტის დადგენისას კონგრესმა მოიხმო TCA-ის მიღებამდე არსებული გადაწყვეტილება - მონტრეს როლექსი სნუდერის წინააღმდეგ (Montres Rolex v. Snyder), სადაც სასამართლომ განმარტა ტერმინი - კონტრაფაქცია და თქვა, რომ მოპასუხის სასაქონლო ნიშანი უნდა დაკვალიფიცირდეს კონტრაფაქციად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი საშუალო მომხმარებელს გაყალბებული ნიშნის მოხმარებისას, აქვს ინფორმაცია მოსარჩელის ნიშნის შესახებ და დაასკვნის, რომ რეალურად მის მიერ მოხმარებული, გაყალბებული ნიშანი წარმოადგენს მოსარჩელის ნიშანს.¹²⁴

¹²⁰McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 998.

¹²¹McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.999, იხ: 18 U.S. Code § 2320. (f)(1)(A)(ii) Trafficking in counterfeit goods or services, ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2320>

¹²²McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.999.

¹²³Ibid. გვ.1000.

¹²⁴Montres Rolex, S.A. v. Snyder., 718 F.2d 524 (2d Cir. 1983) პარ.527. ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/montres-rolex-sa-v-snyder> იხ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1000.

ასევე სასამართლომ გაყალბების მაღალ და დაბალ სტანდარტზეც ისაუბრა და გვითხრა, რომ: პირველ შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის გაყალბება განიხილება საზოგადოებრივი აზრიდან გამომდინარე, ჩათვლის თუ არა საზოგადოება გაყალბებულ ნიშანს ორიგინალ ნიშნად.¹²⁵ მეორე შემთხვევაში კი უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ გაყალბებული ნიშნები, არამედ ისეთი ნიშნები, რომლებიც ზედმიწევნით ასლებს და შესაბამისად კონტრაფაქციას წარმოადგენენ.¹²⁶

„არსებითად განურჩეველ“ სტანდარტზე მსჯელობისას Montres Rolex -ის საქმეში სასამართლომ მოიხმო ლუის ვიტონის (Louis Vuitton) საქმეც, სადაც ისევე, როგორც გაყალბებული ასევე ორიგინალი ნიშანი შედგებოდა ორი დიდი ასოსაგან, ორიგინალ ნიშანს წარმოადგენდა Louis Vuitton.¹²⁷ სასამართლომ თქვა, რომ P ასოს გამოყენება L ასოს ნაცვლად, ორივე შემთხვევაში V ასომდე ქმნიდა მნიშვნელოვად ალბათობას იმისა, რომ მომხმარებელთა შორის მოხდებოდა აღრევა.¹²⁸ თუმცა Montres Rolex საქმეში სასამართლომ მოცემული სიტუაცია კონტრაფაქციად არ ჩათვალა, რადგან საეჭვო იყო, რომ საშუალო მომხმარებელი ამ ორ სადაო ნიშანს მიიღებდა „არსებითად განურჩევლად“.¹²⁹ სასამართლომ კიდევ ერთი საქმე მოიხმო, რომელიც წარმოადგენდა ამაზონას (Amazonas) საქმეს, სადაც სავარაუდო გამყალბებელი იყენებდა ნიშან „Amazonas“ ამაზონის (Amazon) წინააღმდეგ

¹²⁵ Montres Rolex, S.A. v. Snyder., 718 F.2d 524 (2d Cir. 1983) პარ.528. ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/montres-rolex-sa-v-snyder> ობ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1000.

¹²⁶ Ibid.

¹²⁷ Montres Rolex, S.A. v. Snyder., 718 F.2d 524 (2d Cir. 1983) პარ.531. ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/montres-rolex-sa-v-snyder> ., ობ: In re Louis Vuitton, (C.S.D. 80-97, August 31, 1979). ობ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1001.

¹²⁸ Ibid.

¹²⁹ Montres Rolex, S.A. v. Snyder., 718 F.2d 524 (2d Cir. 1983) პარ.531. ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/montres-rolex-sa-v-snyder> ობ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1001.

ფეხსაცმლის ქუსლებსა და ძირებზე.¹³⁰ სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემული ორი ნიშანი იმდენად გავდა ერთმანეთს, რომ იწვევდა აღრევას, თუმცა, Montres Rolex-ის საქმეში სასამართლომ კვლავ გაიმეორა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საშუალო მომხმარებელი ამ ნიშნებს მიიღებდა, როგორც „არსებითად განურჩეველს“.¹³¹ ხოლო ბულოვას საათების (Bulova Watch) საქმეში მოპასუხე იყენებდა ბოლივიას (Bolivia) სახელს, ხოლო ორიგინალ ნიშანს კი წარმოადგენდა ბულოვა (Bulova), ორივე ნიშანი გამოიყენებოდა საათებზე,¹³² სადაც სასამართლომ დაადგინა გაყალბება სასაქონლო ნიშნის, თუმცა Montres Rolex-ის საქმეში სასამართლომ კვლავ გაიმეორა, რომ საშუალო მომხმარებელი აღნიშნულ ნიშნებს საათებზე არ ჩათვლიდა „არსებითად განურჩევლად“;¹³³ “Bolivia” არ ჰგავდა იმდენად “Bulova”-ს, რომ კონტრაფაქციულ ნიშნად მიგვეჩნია იგი, ისევე, როგორც “Amazonas” არ იყო სათანადოდ მსგავსი “Amazon”-თან და არც PV იყო საკმარისად მსგავსი LV-თან.¹³⁴

Montres Rolex-ის გადაწყვეტილებაში სასამართლომ თქვა, რომ გაყალბებული ნიშანი საშუალო მომხმარებლის თვალთახედვიდან არ წარმოშობდა აღრევადობას, მანამდე სანამ არსებითად განურჩეველი არ იქნებოდა ის რეგისტრირებული ნიშნისგან, თუმცა, როგორც ზემოთმოხმობილმა

¹³⁰ Montres Rolex, S.A. v. Snyder., 718 F.2d 524 (2d Cir. 1983) პარ.532. ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/montres-rolex-sa-v-snyder> ობ: In re Amazonas, (C.S.D. 80-39, July 17, 1979). ობ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 1001.

¹³¹Ibid.

¹³² Montres Rolex, S.A. v. Snyder., 718 F.2d 524 (2d Cir. 1983) პარ.532. ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/montres-rolex-sa-v-snyder> ობ: In re Bulova Watch Co., (C.S.D. 80-77, 14 Cus.Bull. No. 30, July 23, 1980). ობ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1001.

¹³³Ibid.

¹³⁴McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 1001.

გადაწყვეტილებებმა ცხადყო, აღნიშნული სულ ასე არ არის.¹³⁵ იმისთვის, რომ მსგავსება დაუადგინოთ კონტრაფაქციის მიზნებისათვის, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა შეადაროს რეგისტრირებული ნიშანი შესაძლოდ გაყალბებულ სასაქონლო ნიშანს, ისე რომ არ მიმოიხილოს დამატებითი ელემენტები, მაგ: შეფუთვა და სხვ. შესაბამისად, მხოლოდ უნდა მოხდეს სასაქონლო ნიშნების შედარება.¹³⁶ ხოლო, როდესაც აღრევალობაზე ვმსჯელობთ, მაშინ გადაწყვეტილების მიმღებმა მთლიანად კონტექსტს უნდა მიაქციოს ყურადღება, რადგან მთლიანად კონტექსტი რელევანტურია მომხმარებლისთვის და აღრევალობის წარმოშობისათვის.¹³⁷ შესაბამისად, კონტრაფაქციის დადგენისას ორივე ზემოთმოხმობილი კრიტერიუმი მნიშვნელოვანია.¹³⁸ ამერიკის შეერთებული შტატები ტორკინგტონის წინააღმდეგ (United States v. Torkington) საქმეში სასამართლომ თქვა, რომ კონტრაფაქცია სახეზეა, როდესაც საზოგადოების წევრნი სავარაუდოა, რომ დაბნეულნი იქნებიან, შეცდებიან ან მოტყუვდებიან შესაძლო გაყალბებული საქონლით, მათი რეალიზაციის შემდეგ.¹³⁹

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ მომხმარებლებისათვის, რომლებიც ქუჩაში ყიდულობენ 20 დოლარიან Louis Vuitton-ის ჩანთებს, მათთვის ბუნებრივია ცნობილია, რომ ჩანთები, რომლებსაც ისინი ყიდულობენ არ მიეკუთვნება Louis Vuitton-ს.¹⁴⁰ იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ჩანთები გაყიდულია ქუჩაში, თავად ჩანთის ფასიც კი მიუთითებს იმაზე, რომ ჩანთები არ

¹³⁵ Montres Rolex, S.A. v. Snyder., 718 F.2d 524 (2d Cir. 1983) პარ.531. ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/montres-rolex-sa-v-snyder> იხ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1002.

¹³⁶ McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 1002-1003.

¹³⁷Ibid. გვ. 1003.

¹³⁸Ibid.

¹³⁹ U.S. v. Torkington 812 F.2d 1347 (11th Cir. 1987) პარ.1352. ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/us-v-torkington-2> იხ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1004.

¹⁴⁰McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1004.

წარმოადგენს ორიგინალს.¹⁴¹ სასამართლოებმა, დაადგინეს TCA-ს შესაძლო აღრევადობის სტანდარტი ისეთ საქმეებზე, სადაც მოპასუხე ყიდდა შესაძლო კონტრაფაქციურებულ საქონელს ორიგინალი საქონლის ღირებულებაზე ნაკლებ ფასად; ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მყიდველმა, გამყიდველისაგან იცოდა, რომ საქონელი არ წარმოადგენდა ორიგინალს.¹⁴² შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაყიდვის შემდგომი აღრევადობის სტანდარტის დარღვევაზე გამახვილდეს ყურადღება, რადგან: მართალია, მყიდველნი, რომლებიც პროდუქციას ქუჩიდან ყიდულობენ არ არიან მოტყუებულნი, რომ ორიგინალ საქონელს იღებენ, თუმცა სხვა ადამიანები, რომლებიც ასევე ქუჩაშივე დაინახავენ აღნიშნულ პირზე გაყალბებულ საქონელს, გამოიკვლევენ ამ საქონლის ხარისხს და მას Louis Vuitton-თან გააიგივებენ, რაც ზოგადად Louis Vuitton-ის პროდუქციის ხარისხზე იქონიებს ასახვას და ავნებს მას.¹⁴³

მაგალითად, როლექსის საათი, კანნერის წინააღმდეგ (Rolex Watch v. Canner) დავაში სასამართლომ თქვა, რომ ის პირები, რომლებიც აკვირდებიან გაყალბებულ პროდუქციას და სჯერათ, რომ გაყალბებული პროდუქცია წარმოადგენს ორიგინალს, მათ შესაძლოა, რომ თავად ხარისხი არ მოეწონოთ პროდუქციის და შესაბამისად, თავი შორს დაიჭირონ ნამდვილი პროდუქციის შეძენისაგან.¹⁴⁴

Torkington- ის საქმეში კი ითქვა, რომ : როგორც Lanham Act -ის აქტი ასევე TCA არ წარმოადგენს მხოლოდ თაღლითობის წინააღმდეგ მიმართულ

¹⁴¹McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1004.

¹⁴²McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1004. იხ: U.S. v. Torkington 812 F.2d 1347 (11th Cir. 1987) ხელმისაწვდომია: <https://www.leagle.com/decision/19872159812f2d134711923>, U.S. v. Gantos 817 F.2d 41 (8th Cir. 1987) ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/us-v-gantos>

¹⁴³McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 1005.

¹⁴⁴Rolex Watch U.S.A Inc v. Norman Canner; Leonard Gutterman, et al., 85-6471-CIV-EPS. (United States District Court, S.D. Florida, Miami Division. August, 1986). ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/federal/district-courts/FSupp/645/484/1499039/> იხ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, Footnote 66, გვ.1005.

აქტს.¹⁴⁵ მთავარი მიზანი აღნიშნული აქტებისა არის, სასაქონლო ნიშნის მფლობელების დაცვა და მათი იდენტობის გათანაბრება მათ რეპუტაციასთან, მათი საქონლისა და მომსახურების ხარისხთან.¹⁴⁶ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო აქტები ამ მიზანს ემსახურებოდნენ და რომ აღრევალობის სტანდარტში ასევე გაყიდვის შემდგომი აღრევალობა - ე.წ. post-sale confusion-იც განიხილებოდა.¹⁴⁷ სასაქონლო ნიშნის მფლობელის რეპუტაციას ზიანი ადგება, როდესაც პოტენციური მყიდველი ხედავს ყალბ საქონელს და ეს ორიგინალი სასაქონლო ნიშლის მფლობელთან ასოცირდება.¹⁴⁸

რაც შეეხება სანქციებს, Lanham Act-ის მიხედვით სასაქონლო ნიშნის სივრცის ფართო რეგულაცია ხდება, რომელიც შეიცავს სამოქალაქო პასუხისგებას სასაქონლო ნიშნის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე, ორივე - რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში.

¹⁴⁹ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ TCA სისხლისსამართლებრივ პასუხისგებას ითვალისწინებს იმ ქმედებებზე, რა ქმედებებზეც Lanham Act-ში გათვალისწინებულია სამოქალაქო სანქციები, თუმცა მნიშვნელოვანი ისაა, რომ ორივე აქტიდან გამომდინარე, სტანდარტი კონტრაფაქციის დროს გაცილებით მაღალია ვიდრე, ზოგადად სასაქონლო ნიშნის გაყალბების დროს.¹⁵⁰

¹⁴⁵ U.S. v. Torkington 812 F.2d 1347 (11th Cir. 1987) პარ., 1353., ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/us-v-torkington-2> იხ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1005.

¹⁴⁶Ibid.

¹⁴⁷ U.S. v. Torkington 812 F.2d 1347 (11th Cir. 1987) პარ.1353, ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/us-v-torkington-2> იხ: McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.1006.

¹⁴⁸Ibid.

¹⁴⁹McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ. 993.

¹⁵⁰Ibid. გვ.997.

Lanham Act-ის მიხედვით: სასაქონლო ნიშნის არაგანზრახული¹⁵¹ კონტრაფაქცია ისჯება: არანაკლებ 500 დოლარით ან არაუმეტეს 100,000 დოლარით, თითოეული კონტრაფაქციული ნიშნის, საქონლისა თუ მომსახურების თითოეული ტიპის გაყიდვისათვის, გასაყიდად შეთავაზების ან მიწოდებისათვის, სასამართლოს გადანყვეტილებისა და მიხედვით.¹⁵² ხოლო, თუკი სასამართლო დაადგენს, რომ კონტრაფაქციული ნიშნის გამოყენება მოხდა განზრახ, მაშინ ჯარიმის სახედ განსაზღვრულია არაუმეტეს 1,000,000 დოლარი.¹⁵³

TCA-ს მიხედვით კი განსაზღვრულია ჯარიმის ოდენობა, კონტრაფაქციის ჩადენისათვის, ფიზიკური პირის მიერ, 2 მილიონი დოლარის ოდენობით და ასევე თავისუფლების აღკვეთა ვადით 10 წლამდე, პირველადი დანაშაულისათვის., ხოლო იურიდიული პირის შემთვევაში არაუმეტეს 5 მილიონი დოლარის ოდენობით.¹⁵⁴

ამერიკის კანონმდებლობაც, საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობის მსგავსად, კონტრაფაქციის დადგენისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ შტატებში ჯარიმის ოდენობა გაცილებით მაღალია და პირის პასუხისგებაც ორი აქტის დებულებების მიხედვით განისაზღვრება. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისგებისას ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის განზრახი და არაგანზრახი ქმედებების დიფერენციაცია, რაც ჯარიმის ოდენობაზეც აისახება. საქართველოს კანონმდებლობაშიც თუკი მოხდება განზრახი და არაგანზრახი კონტრაფაქციის დიფერენციაცია ჯარიმების ნაწილში, მიმაჩნია, რომ კანონმდებლობას ეს ცვლილება გახდის უფრო მოქნილსა და ზუსტს.

¹⁵¹Rosenbaum Kevin M., Enforcement of Intellectual Property Rights (IPR) in the United States, გვ.27.

¹⁵²Lanham Act, 15 U.S.C. 1117 (Sec.35(C,1)), ხელმისაწვდომია: <https://www.bitlaw.com/source/15usc/1117.html>

¹⁵³Ibid. (Sec.35(C,2)).

¹⁵⁴McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018, გვ.995, იბ: 18 U.S.C. & 2320 (b(1a)), ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2320>

1.3.2. ქართული კანონმდებლობა

გადაწყვეტილებაში ას-1285-1223-2014 სასამართლო უთითებს საქართველოს კანონზე „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი გვეუბნება, რომ¹⁵⁵: კონტრაფაქციული პროდუქცია წარმოადგენს ნებისმიერ საქონელს, მათ შორის, შესაფუთ საქონელს, რაზედაც უნებართვოდ არის დატანებული იდენტური სასაქონლო ნიშანი, იმ სასაქონლო ნიშნის, რომელიც ამ საქონელთან დაკავშირებით, კანონიერად არის რეგისტრირებული ან აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან არსებითად არ განსხვავდება, და, შესაბამისად, არღვევს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული.¹⁵⁶ სასამართლო განმარტავს აღნიშნულ ნორმას და გვეუბნება, რომ : იმისათვის, რომ საქონელი კონტრაფაქციულიად მივიჩნიოთ, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:

- 1) საქონელი უნდა წარმოადგენდეს იმ საქონლის იდენტურსა თუ მსგავსს, რომლის მიმართ არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, 2) საქონელზე დატანებული უნდა იყოს ამ საქონელთან მიმართებით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსი ან იდენტური სასაქონლო ნიშანი, 3) მსგავსი ან იდენტური სასაქონლო ნიშანი უნებართვოდ უნდა იყოს მოთავსებული.¹⁵⁷

სასამართლოს თქმით, აღნიშნული პირობები კუმულაციურად უნდა იყოს სახეზე, რათა დადგინდეს ფაქტი კონტრაფაქციულობის შესახებ.¹⁵⁸ შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართული პრაქტიკა ნაკლებად

¹⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 1 დეკემბრის, 2015 წელი, N ას-1285-1223-2014 გადაწყვეტილება, პარ.29.

¹⁵⁶ „სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, იხ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 1 დეკემბრის, 2015 წელი, N ას-1285-1223-2014 გადაწყვეტილება, პარ.29, პარ.85.

¹⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 1 დეკემბრის, 2015 წელი, N ას-1285-1223-2014 გადაწყვეტილება, პარ.87.

¹⁵⁸ Ibid. პარ.89.

ახდენს კონცენტრაციას განზრახულობის ელემენტთან დაკავშირებით, როდესაც საუბრობს კონტრაფაქციაზე თუმცა მსგავსებისა და იდენტურობის შესახებ არსებული კრიტერიუმები მსგავსია.

2. საერთაშორისო სამრეწველო პალატის პოლიტიკა

საერთაშორისო სამრეწველო პალატამ, შექმნა ბიზნეს აქტივობანი კონტრაფაქციისა და მეკობრეობის შესაჩერებლად (BASCAP –Business Action to stop Counterfeiting and Piracy), იმისთვის, რომ ამაღლებინა ცნობიერება იმ ეკონომიკური და სოციალური ზიანისა, რასაც კონტრაფაქცია და მეკობრეობა წარმოშობს.¹⁵⁹ BASCAP თავს უყრის კერძო სექტორის ლიდერ წარმომადგენლებს, რომლებსაც დაახლოებით 13 წლიანი გამოცდილება გააჩნიათ კონტრაფაქციასა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.¹⁶⁰

ის თანამშრომლობს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა: ინტერპოლი (INTERPOL); მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და სხვ.¹⁶¹ და ეხმარება მათ იმ ქმედებების გატარებაში, რაც ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა უკეთ აღსრულებას უწყობს ხელს.¹⁶²

საზოგადოების და ბიზნესის კეთილდღეობისათვის, კონტრაფაქციასა და მეკობრეობასთან ბრძოლა, BASCAP- ის მთავარი მიზანია.¹⁶³ ყალბი საქონელი, ინარმოება და იგზავნება მსოფლიო ბაზარზე, საგანგაშოდ მზარდი ოდენობით.

¹⁵⁹<https://iccwbo.org/global-issues-trends/bascap-counterfeiting-piracy/>

¹⁶⁰ ICC BASCAP Membership Guide, Mission, accomplishments, work plan and benefits of membership, გვ.3.

¹⁶¹<https://iccwbo.org/global-issues-trends/bascap-counterfeiting-piracy/bascap-global-engagement/>

¹⁶²Ibid.

¹⁶³ ICC BASCAP Membership Guide, Mission, accomplishments, work plan and benefits of membership, გვ.3.

¹⁶⁴ მომხმარებლები, არიან რისკის ქვეშ, საფრთხის შემცველი პროდუქციის და გამო, ხოლო, ამავდროულად, საზოგადოება, სახელმწიფოები და ბიზნესები კარგავენ, საგადასახადო შემოსავლების, ბიზნესის შემოსავლებისა და სამუშაო ადგილების სახით ათასობით მილიარდ დოლარს.¹⁶⁵ კონტრაფაქციისა და მეკობრეობის სახით, ასევე არალეგალური ქმედებებისა და კრიმინალური კავშირების მხარდაჭერა ხდება.¹⁶⁶ BASCAP უზრუნველყოფს კვლევებისა და რეკომენდაციების წარმოებას კონტრაფაქციისა და მეკობრეობის თემატიკებთან მიმართებით.¹⁶⁷ BASCAP -ისა და საერთაშორისო სამრეწველო პალატის კვლევებზე დაყრდნობით, განვიხილოთ ის 5 ძირითადი მიმართულება, რაზედაც კონტრაფაქცია უარყოფითად მოქმედებს:¹⁶⁸

1. ეკონომიკური აქტივობის დანაკარგი¹⁶⁹

მომხმარებლები, რომლებიც შეგნებულად შეისყიდიან კონტრაფაქციურებულ საქონელს, ხშირად ამას იმიტომ აკეთებენ, რომ კონტრაფაქციურებული საქონელი, ორიგინალთან შედარებით ბევრად იაფია.¹⁷⁰ რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმორჩილი კომპანიების წინ არიან ის კონკურენტები, რომლებიც მათ ინტელექტუალურ საკუთრებას იპარავენ, არ იხდიან გადასახადებს, არ ემორჩილებიან კანონსა თუ ხარისხის სტანდარტებს.¹⁷¹ ასეთი უსამართლო კონკურენცია კი ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მომხმარებელზე, სახელმწიფოსა და ეკონომიკურ წინსვლაზე.¹⁷² BASCAP -ის მიერ

¹⁶⁴ ICC BASCAP Membership Guide, Mission, accomplishments, work plan and benefits of membership, გვ.3.

¹⁶⁵Ibid.

¹⁶⁶Ibid.

¹⁶⁷Ibid.

¹⁶⁸ <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>

¹⁶⁹Ibid.

¹⁷⁰Ibid.

¹⁷¹Ibid.

¹⁷²Ibid.

განხორციელებულმა კვლევამ¹⁷³ ცხადყო, რომ 2013 წელს, 470 მილიარდი დოლარიდან - 597 მილიარდ დოლარამდე ეკონომიკური აქტივობა განდევნილი იყო კონტრაფაქციის მიერ.¹⁷⁴ კონტრაფაქციისდა გამო ასევე დაიკარგა მიახლოებით 2.6 მილიონი სამუშაო ადგილი, 2022 წლისათვის კი, წინასწარი პროგნოზების მიზედვით, აღნიშნული მაჩვენებელი მიახლოებით მიაღწევს 4.2 – 5.4. მილიონს.¹⁷⁵

2. ნაკლები ფული გზებისთვის, სკოლებისთვის¹⁷⁶

BASCAP -ის რეპორტი გვეუბნება, რომ შემცირება, გაყიდვებიდან გამომდინარე გადასახადებისა, შეიძლება, საერთო ჯამში წარმოადგენდეს 89 მილიარდ დოლარს.¹⁷⁷ რაც ნიშნავს, ნაკლებ საფონდო თანხებს, რომელიც უკავშირდება გზებს, სკოლებს, საავადმყოფოებს და სხვა სახის ინფრასტრუქტურას, რომელიც ასევე ზეგავლენას ახდენს დასაქმების ზრდაზე.¹⁷⁸

3. ინვესტიციები¹⁷⁹

კონტრაფაქციამ შეიძლება ასევე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს და ზიანი მიაყენოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.¹⁸⁰ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება კონტრაფაქციისა და მეკობრეობის გამო შეფასებულია 111 მილიარდი დოლარით, რადგან კომპანიებს ექნებათ

¹⁷³Frontier Economics, The Economic Impacts of Counterfeiting and Piracy, Report prepared for BASCAP and INTA, ხელმისაწვდომია:<https://iccwbo.org/publication/economic-impacts-counterfeiting-piracy-report-prepared-bascap-inta/>

¹⁷⁴ <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>

¹⁷⁵Ibid.

¹⁷⁶Ibid.

¹⁷⁷Ibid.

¹⁷⁸Ibid.

¹⁷⁹Ibid.

¹⁸⁰Ibid.

ნაკლები სტიმული, ინვესტიციები განახორციელონ იქ, სადაც მათი ინტელექტუალური საკუთრება შესაძლოა, რომ მოიპარონ.¹⁸¹

4. უფრო დიდი დანაშაული¹⁸²

თავისი არსით, კონტრაფაქცია და მეკობრეობა სისხლისსამართლებრივ ქმედებებს წარმოადგენენ, თუმცა ისინი უფრო დიდ დანაშაულს უჭერენ მხარს, იმ თანხობრივი გზებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა უკანონობისათვის.¹⁸³ 2009 წლის კვლევის მიხედვით, BASCAP-მა დაადგინა, რომ დანაშაულის ეკონომიკური და სოციალური ხარჯი იზრდება 20 მილიარდ ევროზე მეტად, ყოველი 1%-ით გაზრდილი დანაშაულის მაჩვენებლიდან გამომდინარე, რომელიც გამონვეულია კონტრაფაქციული და მეკობრეობასთან დაკავშირებული საქონლის გაყიდვასთან.¹⁸⁴ ამავე კვლევის მიხედვით, დიდ ბრიტანეთში, დანაშაულის 1%-ით ზრდა საზოგადოებას უჯდება დაახლოებით 1.7 მილიარდი ევრო, როდესაც მექსიკაში 1%-იანი დანაშაულის ზრდა ღირს 290 მილიონი ევრო.¹⁸⁵

5. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული რისკები¹⁸⁶

იქიდან გამომდინარე, რომ კონტრაფაქციული საქონელი არ აკმაყოფილებს იმ წარმოების ნორმებს, რომლებიც ლეგიტიმურ პროდუქტებს მართავენ, მათი

¹⁸¹<https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>

¹⁸²Ibid.

¹⁸³Ibid.

¹⁸⁴Frontier Economics, The Impact of Counterfeiting on Governments and Consumers, a report commissioned by BASCAP, 2009, გვ.9.

¹⁸⁵Ibid.

¹⁸⁶<https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>

გამოყენება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ რისკებს მოიცავს.

¹⁸⁷ მაგალითად, 2012 წელს, რუსეთში, ალკოჰოლით მონამლულობამ, რამაც სიკვდილი გამოიწვია მიაღწია მიახლოებით 17,000-სს, რაც გამონვეული იყო კონტრაფაქციული სასმელებით, რომლებიც სახიფათო ინგრედიენტებს შეიცავდნენ. ¹⁸⁸ აფრიკაში კი, ყალბი მალარიის საწინააღმდეგო წამლებისდა გამო, ყოველწლიურად 120,000-ზე მეტი ადამიანი იღუპება.¹⁸⁹

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლის უფრო მკაცრი აღსრულება აუცილებელია იმისათვის, რომ ხელი შეეშალოს იმ მზარდ საფრთხეს, რომელსაც კონტრაფაქცია და მეკობრეობა უქადის საზოგადოებას. ¹⁹⁰ BASCAP უშუალოდ თანამშრომლობს ეროვნულ მომხმარებელთა დაცვის სააგენტოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორებთან იმისათვის, რომ წაახალისოს ეფექტური სტრატეგიები მიმართული კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ. ¹⁹¹ „მე ვყიდულობ ორიგინალს“ ასევე მსოფლიო კამპანიაა, რომელიც განავითარა BASCAP-მა, მისი ოფიციალური საიტი კი ¹⁹² უფასო მასალებს შეიცავს ორგანიზაციებისათვის, რათა მოხდეს მათი ცნობიერების ამაღლების კამპანიაში ჩართვა. ¹⁹³

საინტერესოა განვიხილოთ, თუ რა სიტუაციაა საქართველოში და რა გაკეთდა ბოლო წლების მანძილზე იმისათვის, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა უკეთესი აღსრულება გვექონოდა სახეზე.

¹⁸⁷<https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>

¹⁸⁸ <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>,http://www.nbcnews.com/id/15512242/ns/world_news-europe/t/counterfeit-vodka-kills-scores-russians/#.XPRiyo4zbIU

¹⁸⁹ <https://www.bbc.com/news/business-37470667>,<https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>

¹⁹⁰ <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>

¹⁹¹ Ibid.

¹⁹² <http://www.ibuyreal.org/index.html>

¹⁹³ <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>

3. ასოცირების შეთანხმება და საქართველოს ხელისუფლება

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შესრულებისათვის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.¹⁹⁴ გეგმა 2014-2017 წლების პერიოდს მოიცავს.¹⁹⁵ აღნიშნული დოკუმენტი სტრატეგიულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც ზოგად მიზნებს ადგენს.¹⁹⁶ დღევანდელი გადმოსახედიდან და აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, განვახორციელოთ აღნიშნული გეგმის შესრულების, ასევე, სამომავლო გეგმების ანალიზი.¹⁹⁷ 2014 წელს, როდესაც დაიგეგმა სხვადასხვა მიმართულებით მუშაობა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად წარმოდგენილი იყო ინტელექტუალური საკუთრების სფეროს განვითარების მიზანი.¹⁹⁸

3.1. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა

ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო დონეზე დაცვის უზრუნველსაყოფად, ინტელექტუალური საკუთრების მომწესრიგებელ საპროცესო კანონმდებლობაში დაიგეგმა ცვლილებების განხორციელება, რაც

¹⁹⁴ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.23.

¹⁹⁵საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017 წწ., იხ: ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.23.

¹⁹⁶ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.23.

¹⁹⁷Ibid.

¹⁹⁸საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017 წწ., გვ.21, გვ.25-26. იხ: ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.23.

გამოიწვევდა კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან დაახლოებას.¹⁹⁹ აღნიშნული ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებას წარმოადგენს „საქპატენტი“.²⁰⁰ ასევე, დაიგეგმა, საბაჟო კანონმდებლობის გადახედვა, ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნებიდან გამომდინარე; დაიგეგმა ცვლილებები და იმ ოპერატიული პროცედურების შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავდა, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების უფრო ეფექტური დაცვის განხორციელებას.²⁰¹ 2015 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით²⁰² კი განსაზღვრული იყო ის საკანონმდებლო ცვლილებები, რაც შემდგომ საკანონმდებლო აქტებში დაიგეგმა: „საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, „საქართველოს საპატენტო კანონი“, „საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ“, „საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ“ და სხვ.²⁰³

საქპატენტმა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მოამზადა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას ისახავს მიზნად.²⁰⁴ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი, რამდენიმე კანონში ითვალისწინებს ცვლილებებს, რაც ხელს უწყობს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში

¹⁹⁹ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.23.

²⁰⁰Ibid.

²⁰¹საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017 წწ., გვ.21-22, იხ: ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.23.

²⁰²ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2015 წლის ანგარიში. იხ: ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.24.

²⁰³ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2015 წლის ანგარიში. გვ. 15-16, იხ: ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.24.

²⁰⁴ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლის სამოქმედო გეგმა, 2016 წლის ანგარიში, გვ.10.

საუკეთესო ევროპული პრაქტიკის დამკვიდრება მოხდეს.²⁰⁵ 2016 წლის ბოლოს კანონის პროექტების საბოლოო ვერსიები შემუშავდა და 2017 წლის პირველ კვარტალში წარედგინა საქართველოს პარლამენტს.²⁰⁶

ხოლო, საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, რაც შეეხება, იმ კანონმდებლობის შემუშავების მიზნით, რომელიც საბაჟო აღსრულების პროცედურებთან არის დაკავშირებული, შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი შედგა შემოსავლების სამსახურში, იურიდიული, საერთაშორისო ურთიერთობათა და საბაჟო დეპარტამენტების მონაწილეობით.²⁰⁷ 2016 წელს გატარდა არაერთი ტრეინინგი, განკუთვნილი ადვოკატებისა და მოსამართლეებისათვის, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს უკავშირდებოდა; საქპატენტის სასწავლო ცენტრში, კვალიფიკაცია აიმაღლა, გადამზადდა, დაახლოებით, საჯარო და კერძო სექტორის, ასევე საქპატენტის, 110 წარმომადგენელი.²⁰⁸

2016 წელს, მოხდა ევროკავშირის რეგულაციის - No608/2013-ის შედარება „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონთან და ანალიზის შედეგად გამომჟღავნდა ძირეული განსხვავებები, რომლებიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ვალდებულების ფარგლებში უნდა აღმოფხვრილიყო.²⁰⁹ საქართველოს კანონში, შესაბამისი ცვლილებების შეტანასთან ერთად, შემუშავდა ის ოპერატიული პროცედურებიც, რომლებიც საბაჟო აღსრულებასთან იყო დაკავშირებული.²¹⁰

2017 წელს კი განხორციელდა ძირეული ცვლილებები აღნიშნულ კანონმდებლობებში და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა

²⁰⁵ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლის სამოქმედო გეგმა, 2016 წლის ანგარიში, გვ.10.

²⁰⁶Ibid.

²⁰⁷Ibid.

²⁰⁸Ibid.გვ.11.

²⁰⁹Ibid.

²¹⁰Ibid.

გამარტივდა.²¹¹ ცვლილებები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც შევიდა, ცალკე კარი, ინტელექტუალურ საკუთრებას მიეძღვნა.²¹² განხორციელებული ცვლილებების შესახებ ცალკეულ თავებში დეტალურად ვისაუბრებთ.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ 2017 წლის დეკემბერს, ინტელექტუალური საკუთრების აღსრულების თემაზეტიკებზე, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, ქ.თბილისში, საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ორგანიზებით.²¹³ სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ მოსამართლეები, ასევე საქართველოს საგამოძიებო და საბაჟო უწყების წარმომადგენლები.²¹⁴ შეხვედრას დაესწრნენ მონვეული ექსპერტები მოლდოვადან, ესტონეთიდან, ინგლისიდან, WIPO-დან და განხილულ იქნა საქართველოში საავტორო უფლებების მეკობრეობის და სასაქონლო ნიშნების კონტრაფაქციის გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმართვასთან დაკავშირებული პრაქტიკული ასპექტები, ასევე არსებული გამოწვევები.²¹⁵ ასევე, ამ შეხვედრისათვის, ითარგმნა WIPO-ს სახელმძღვანელო, რომელიც შეეხება დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დებულებებს, რაც თავის მხრივ დაეხმარება სამართალდამცავ ორგანოებსა და პროკურორებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში.²¹⁶

2017 წლის ივლისში კი, ქ.ბათუმში, საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა კერძო და საჯარო სექტორებს შორის

²¹¹ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.24.

²¹² Ibid.

²¹³ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ.45.

²¹⁴ Ibid.

²¹⁵ Ibid.

²¹⁶ Ibid.

დიალოგის გამყარება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლას.²¹⁷

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ 2017 წლის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევის შესახებ ფაქტების კონსტატაციაზე-მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რაც თავის მხრივ მისცემს საზოგადოებას შესაძლებლობას, რომ ეფექტურად ასახოს მდგომარეობა ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.²¹⁸ მნიშვნელოვანია, რომ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლებების მფლობელი აცნობიერებდეს თავის შესაძლებლობებსა და უფლებებს, რომ მის მიერ განხორციელებული შუამდგომლობით სასამართლო უფლებამოსილია, რომ გამოიტანოს განჩინება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც მტკიცებულებათა შენარჩუნების მიზანს ემსახურება, თუკი მათი განადგურების საფრთხე არსებობს.²¹⁹ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ მიზნით, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მოხდეს, საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ: აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფისებში ასევე, იუსტიციის სახლებში გავრცელდა ბროშურები ფაქტების კონსტატაციის შესახებ, რომლებიც საინფორმაციო ხასიათს ატარებდა, ასევე, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ბიზნესსექტორებსა და ადოკატებთან, ასევე გაიმართა საინფორმაციო ხასიათების სემინარები უნივერსიტეტებში.²²⁰ საქპატენტი, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო აქტორებთან, ადვოკატებთან, თანამშრომლობდა, რის მიზანსაც ცოდნის გაცვლა და კვალიფიკაციის ამაღლება წარმოადგენდა.²²¹ ასოცირების

²¹⁷ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ.54.

²¹⁸ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.24

²¹⁹Ibid. გვ.25.

²²⁰Ibid.

²²¹Ibid.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, 2017 წელი, ინტელექტუალური უფლებების დაცვის მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვან წელს წარმოადგენს, რადროსაც რეალურად უკვე ხდება საქართველოს საკანონმდებლო სივრცის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.²²²

რაც შეეხება 2018 წლის სამოქმედო გეგმას, 2018 წლის ივლისში, ქ.ბათუმში საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა.²²³ კონფერენცია, მიზნად ისახავდა, რომ მექანიზმების, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან არის დაკავშირებული, მათი, ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა მომხდარიყო, ასევე უფლებათა აღსრულების მიმართულებით, კონტაქტები დამყარებულიყო დაინტერესებულ პირებს შორის.²²⁴ კონფერენციაზე იმსჯელეს იმ მექანიზმებზე, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებას უზრუნველყოფენ, ასევე უფლებათა აღსრულების კუთხით ყურადღება გამახვილეს, ხელოვნური ინტელექტისა და ტექნოლოგიების გავლენაზე, ონლაინ სივრცეში, კონტრაფაქციული საქონლის გაყიდვებზე.²²⁵ ასევე აღინიშნა DCFTA-ს საფუძველზე, 2018 წელს გატარებულ, იმ ცვლილებებზე, რომელიც „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა, ასევე ყურადღება გამახვილდა მტკიცებულებების უზრუნველყოფაზე, პარალელურ იმპორტზე, და ზიანის დადგენის შესახებ, საერთაშორისო პრაქტიკაში ასახულ დებულებებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.²²⁶

²²² ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.25, იხ: საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014-2017 წწ., იხ: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

²²³ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ.78.

²²⁴ Ibid.

²²⁵ Ibid. გვ.78-79.

²²⁶ Ibid. გვ.79.

3.1.1. სასაქონლო ნიშანი

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2017 წლის ბოლოს, ცვლილებები განხორციელდა.²²⁷ მოცემული კანონის მე-2 მუხლს „პ“ ქვეპუნქტი დაემატა, რომლის მიხედვითაც სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების ხელყოფით ნიშანდებული საქონლის დეფინიცია განისაზღვრა.²²⁸ ასეთი საქონელი თუ პროდუქტი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავს ან იდენტურ ნიშანს უნდა შეიცავდეს, ანდა მას უნდა ჰქონდეს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსი ან იდენტური ფორმა.²²⁹ ამავდროულად, ამგვარი საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე წარმოება, შენახვა, შემოტანა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა, ან ამ მიზნით დასაწყობება/შენახვა, ნებისმიერი სხვაგვარი ფორმით გამოყენება განსაკუთრებული უფლების დარღვევას უნდა იწვევდეს სასაქონლო ნიშნის მფლობელის.²³⁰ აღნიშნული დებულება, განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობაც, ორგანიზაციას თუ სასაქონლო ნიშანზე უფლების მქონე პირს, აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლოში, თავისი უფლების დარღვევის შესახებ იდაოს.²³¹ 2017 წლის ცვლილებების მიხედვით, ცვლილება კანონის მე-14 მუხლშიც შევიდა, რომელიც არსობრივ ექსპერტიზას ეხება, რომლის მიხედვითაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევებზე უარის თქმის საფუძვლების არსებობა დგინდება.²³² ცვლილებამდე, არსებული მუხლი, ავალდებულებდა მარეგისტრირებელ ორგანოს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის ან რეგისტრაციის თანხმობის შესახებ გამოეტანა ისეთი

²²⁷ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.27.

²²⁸ Ibid.

²²⁹ Ibid.

²³⁰ Ibid.

²³¹ Ibid.

²³² Ibid.

გადანყვეტილება, რაც თავის მხრივ არ მოითხოვდა დასაბუთებას, ხოლო 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით უკვე აუცილებელია, რომ გადანყვეტილება, რომელსაც გამოიტანს მარეგისტრირებელი ორგანო იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული.²³³ ასევე აღსანიშნავია, რომ საქპატენტის - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული გადანყვეტილება არსობრივ ექსპერტიზასთან მიმართებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ მსგავსი გადანყვეტილებები ყოველთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოიცემოდა და შეიცავდა დასაბუთებას მათ შორის სათანადო არგუმენტაციასაც, აღნიშნული ცვლილების მიხედვით, მხოლოდ დაზუსტდა ამ სახის ვალდებულება და სპეციალურად გაიწერა კანონითაც.²³⁴ აღნიშნულ კანონში სახეგია ცვლილებათა ის პაკეტი, რაც განსაკუთრებული უფლების დაცვის მექანიზმებთან არის დაკავშირებული.²³⁵ 2017 წლამდე, 45-ე მუხლი ნაკლებად კონკრეტულად განსაზღვრავდა მექანიზმებს, როგორსაც წარმოადგენდა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, უფლების დამრღვევის ქმედების შეწყვეტა, განადგურება სასაქონლო ნიშნის დამამზადებელი ან ნიშნის შემცველი პროდუქციისა.²³⁶ განხორციელებული ცვლილებებით, კი, ბევრად უფრო კონკრეტულად გაიწერა ზემოაღნიშნული მექანიზმები.²³⁷ განსაზღვრულია ის პირობები, რომლებიც საჭიროა ფულადი კომპენსაციის დაკისრებისათვის, ასევე ტექნიკა, რომელიც მიყენებული ზიანის ოდენობას განსაზღვრავს, მესამე პირის პასუხისმგებლობა, რომელსაც უნდა სცოდნოდა ან რომელმაც იცოდა ის ფაქტი, რომ მისი მომსახურება გამოიყენება ან გამოიყენებოდა განსაკუთრებული უფლების დარღვევისათვის, სასაქონლო

²³³ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.28.

²³⁴Ibid.

²³⁵Ibid.

²³⁶Ibid.

²³⁷Ibid.

ნიშანზე, კომერციული მასშტაბით.²³⁸ ზიანის ოდენობის გამოთვლის ტექნიკა კი შემდეგ ფაქტორებს ეფუძნება: 1) განსაკუთრებული უფლების დარღვევის არსის დადგენა სასაქონლო ნიშანზე და ამ უფლების დარღვევით მიღებული შემოსავალი; 2) განსაკუთრებული უფლების მფლობელისათვის მიყენებული ზიანი - ქონებრივი და არაქონებრივი; 3) ის სავარაუდო შემოსავალი, რომელსაც განსაკუთრებული უფლების მფლობელი მიიღებდა, იმ შემთხვევაში თუკი მოხდებოდა სასაქონლო ნიშნის მართლზომიერად გამოყენება²³⁹

3.2. „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დებულებები

2017 წელს, განხორციელდა საკანონმდებლო ხასიათის ცვლილებები „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში, რამაც, ძალადაკარგულად გამოაცხადა 1999 წლის კანონი და ახალი კანონი ამოქმედდა.²⁴⁰ საბაჟო სამსახურის მიერ, განხორციელებულ ცვლილებებამდე, კონტროლდებოდა მხოლოდ ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონელი, ხოლო ისეთი სახის ოპერაციები, როგორცაა დროებითი შემოტანა, რეექსპორტი, და სხვ. რჩებოდა კონტროლს გარეთ.²⁴¹ ახალი კანონით კი დადგენილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ისევე, როგორც ექსპორტის და იმპორტის, ასევე თავისუფალი ზონის, სანცობის და რეექსპორტის სასაქონლო

²³⁸ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.28. იხ: „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის, 45-ე მუხლის მესამე პუნქტი.

²³⁹ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.28.

²⁴⁰ Ibid. გვ.26.

²⁴¹ Ibid.

ოპერაციებიდან გამომდინარე, გადაადგილებისას, სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესი.²⁴²

„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით უფლების მფლობელს წარმოადგენს ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჩვენს შემთხვევაში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებულ უფლებას ფლობს.²⁴³

მოცემული კანონის მე-4 მუხლი კი ადგენს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციისას არსებულ წესსა და პირობებს.²⁴⁴ მოხმობილი მუხლის მიხედვით: უფლების მფლობელი, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე, უფლებამოსილია, რომ შემოსავლების სამსახურს²⁴⁵ წარუდგინოს განაცხადი, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის, რეესტრში ასახვის თაობაზე, ისევე როგორც წერილობით, ასევე, ელექტრონული ფორმით და მოითხოვოს იმ პროდუქციის, რომელიც კონტრაფაქციულია, საქართველოს, საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისა, თუ სხვა პროცედურის წარმართვის შეჩერება და უფლების მფლობელის უფლებათა დაცვა.²⁴⁶ თუკი განმცხადებელს შეჩერებული საქონლის შემოწმების უფლებამოსილება მიეცა და მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც ვერ დადგინდა განმცხადებლის ან/და შემოსავლების სამსახურის ეჭვის საფუძვლიანობა, მაშინ განმცხადებელს წარმოეშობა ვალდებულება, რომ საქონლის მფლობელს აუნაზღაუროს,

²⁴² ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.26. იხ: „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი.

²⁴³ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

²⁴⁴ Ibid. მე-4 მუხლი.

²⁴⁵ Ibid. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

²⁴⁶ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.26-27, იხ: „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

მისთვის მიყენებული ზიანი, საქონლის შეჩერებისდა გამო.²⁴⁷ განაცხადი, რომელიც რეგისტრაციას ეხება, უნდა ასახავდეს: უფლების მფლობელის სახელს, მისამართს, ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან მიმართებით, დეტალურ აღწერილობას ორიგინალი საქონლისა, ასევე, ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომლითაც საქონლის იდენტიფიცირება მარტივდება, ინფორმაციას, საქონლის წარმოშობის ქვეყნისა თუ მწარმოებლის შესახებ, ასევე ორიგინალი საქონლის ექსპორტიორების თუ იმპორტიორების შესახებ ინფორმაციას, ასევე ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლებათა დარღვევით წარმოებულ საქონელს: ინფორმაციას ასეთი საქონლის მდებარეობის, წარმოშობის შესახებ, არსებული განმასხვავებელი ნიშნების შესახებ ორიგინალსა თუ ყალბ საქონელს შორის და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს, ასევე, განცხადებას იმის შესახებ, რომ განმცხადებელი კისრულობს ვალდებულებებს, ანაზღაუროს რა ის მატერიალური ზიანი, რომელიც საქონლის შეჩერების შედეგად მიადგა საქონლის ექსპორტიორს, იმპორტიორს, მფლობელს თუ სხვა პირს.²⁴⁸ რეგისტრაციის ვადა არ აღემატება 2 წელს, რომელიც განმცხადებლის მოთხოვნით, შესაძლოა, რომ გაგრძელდეს.²⁴⁹

კანონის სიახლეს, საქონლის შეჩერების შესაძლებლობა წარმოადგენს, უფლების რეგისტრაციამდე, ე.წ. *ex officio* ქმედება, რაც წინა კანონით გათვალისწინებული არ იყო.²⁵⁰ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი გვეუბნება, რომ: სამსახური, უფლების მფლობელის უფლებებს, იცავს, ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე, რომელიც არის შეტანილი

²⁴⁷ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.27, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

²⁴⁸ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „ა,ბ,დ,ე,ვ,თ“ ქვეპუნქტები.

²⁴⁹ Ibid. მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

²⁵⁰ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.27.

რეესტრში.²⁵¹ ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით კი სამსახური ასევე უფლებამოსილია, რომ უფლების მფლობელის უფლებები, დაიცვას, ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე, რომელიც დაცულია საქართველოში, თუმცა, შეტანილი რეესტრში არ არის.²⁵²

ამავე კანონის მე-5(1) მუხლი გვეუბნება, რომ: იმ შემთხვევაში, თუკი შემოსავლების სამსახური საფუძვლიანად ვარაუდობს, რომ საქონელი, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილდება, წარმოებულია იმ ობიექტზე უფლებათა ხელყოფით, რომელიც დაცულია საქართველოში, მაგრამ რეესტრში არ არის შეტანილი, მაშინ სამსახური უფლებამოსილია, რომ გადანყვეტილება მიიღოს ასეთი საქონლის გადაადგილების თუ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განწესებული პროცედურების შეჩერების შესახებ, 3 სამუშაო დღით.²⁵³

„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5(2) მუხლის მიხედვით, საქონლის შეჩერებამდე, სამსახური უფლებამოსილია, რომ პირი, რომელსაც პოტენციურად შეუძლია, რომ წარადგინოს განაცხადი რეგისტრაციის შესახებ, უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდებით საქონლის სავარაუდო რაოდენობის, გამოსახულებისა თუ სახეობის შესახებ და ასევე მოითხოვოს მისგან ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც საქონლის ინდენტიფიცირებისათვის არის საჭირო.²⁵⁴ სამსახური, ინფორმაციას, საქონლის შეჩერების შესახებ, საქონლის მფლობელს, აწვდის, 1 სამუშაო დღის ვადაში, საქონლის შეჩერებასთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღებიდან.²⁵⁵ იმ პირის დასადგენად,

²⁵¹ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁵²Ibid. მე-3 მუხლის მეორე პუნქტი.

²⁵³ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.27, იხ: „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁵⁴ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მეორე პუნქტი.

²⁵⁵Ibid. მე-5 მუხლის მესამე პუნქტი.

რომელსაც უფლება აქვს, რომ წარადგინოს რეგისტრაციის შესახებ განაცხადი, სამსახური იყენებს „საქპატენტის“ ინტელექტუალური საკუთრების არსებული ობიექტის რეესტრში მოცემულ ინფორმაციას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს „საქპატენტსა“ თუ სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან.²⁵⁶ ამავე კანონის მე-5(9) მუხლი კი შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის ხდება საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დასრულებისთანავე, შეჩერებული საქონლის გაშვება,²⁵⁷ რასაც წარმოადგენს მაგალითად: რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარმდგენი, უფლებამოსილი პირის დაუდგენლობა;²⁵⁸ განაცხადის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა;²⁵⁹ ასევე, იმ შემთხვევაში თუკი თავად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარმდგენმა პირმა, განაცხადში დაურთო მიზმი შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით.²⁶⁰ ხოლო, იმ შემთხვევაში თუკი რეგისტრაციის შესახებ განაცხადი დაკმაყოფილდა და სახეზე გვაქვს განმცხადებლის მოთხოვნა, მაშინ სამსახურის მიერ, საქონლის შეჩერების ვადა გრძელდება 10 სამუშაო დღით.²⁶¹

კანონის მე-6 მუხლი კი გვეუბნება, რომ საქონლის საქართველოს საბაჟოზე გადაადგილების პროცესში, იმ შემთხვევაში თუკი სამსახური ვარაუდობს, რომ საქონელი წარმოადგენს, საქართველოში დაცულ, რეესტრში შეტანილ, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლებადამრღვევს, მაშინ, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას, რომ მოხდეს ასეთი საქონლის გადაადგილების შეჩერება 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ან/და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შეჩერება

²⁵⁶ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მეექვსე პუნქტი.

²⁵⁷Ibid. მე-5 მუხლის მეცხრე პუნქტი.

²⁵⁸Ibid. მე-5 მუხლის მეცხრე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²⁵⁹Ibid. მე-5 მუხლის მეცხრე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

²⁶⁰Ibid. მე-5 მუხლის მეცხრე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

²⁶¹Ibid. მე-5 მუხლის მეათე პუნქტი.

იმავე ვადით. ²⁶² მალფუჭებადი საქონლის შემთხვევაში შეჩერების ვადა 3 სამუშაო დღით არის განსაზღვრული.²⁶³

ასეთი სამსახური უფლებამოსილია, რომ ვადაზე ადრე, გაუშვას საქონელი, საქონლის მფლობელის მოთხოვნის მიხედვით, თუკი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა პროცედურა დასრულებულია და საქონლის მფლობელი აღნიშნული კანონით განსაზღვრულ გარანტიებს წარადგენს. ²⁶⁴

სამსახური გააუქმებს საქონლის შეჩერების შესახებ გადანყვეტილებას, მაგ: იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი დაადასტურებს, რომ შეჩერებული საქონელი არ წარმოადგენს კონტრაფაქციას; ²⁶⁵ და ასევე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ²⁶⁶

ხოლო, თუკი საქონლის შეჩერების ვადის მანძილზე, განმცხადებელი და საქონლის ექსპორტიორი, იმპორტიორი, თუ მფლობელი სამსახურს წარუდგენენ იმ სახის შეთანხმებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საქონლის მფლობელის უარის შესახებ, თავად შეჩერებულ საქონელზე, მაშინ საქონელი ნადგურდება განმცხადებლის პასუხისმგებლობისა და ხარჯის გათვალისწინებით, ასევე სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ. ²⁶⁷ ხოლო, თუკი აღნიშნულთან დაკავშირებით, ვერ მოხდა მხარეთა შეთანხმება, მაშინ მათ შორის დავა, განიხილება სასამართლო წესით.²⁶⁸

საინტერესოა ასევე აღინიშნოს, რომ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის

²⁶²„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁶³Ibid.

²⁶⁴ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.27, იხ: „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

²⁶⁵„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²⁶⁶Ibid. მე-9 მუხლი.

²⁶⁷Ibid. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁶⁸Ibid. მე-10 მუხლის მეორე პუნქტი.

მოქმედების სფერო, არ ვრცელდება არაკომერციული დანიშნულების და მცირე ოდენობის საქონელზე, რომელიც მაგალითად მოთავსებულია მგზავრის ხელბარგსა თუ ბარგში, ასევე პირადი მოხმარებისათვის არის განკუთვნილი.²⁶⁹

3.2.1. უცხოური კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტები - ევროკავშირის რეგულაცია NO 608/2013

ევროკავშირი, წლებია, რაც კონტრაფაქციას ებრძვის.²⁷⁰ თავდაპირველად არსებობდა რეგულაცია No 1383/2003, რომელიც საბაჟოსთან დაკავშირებულ დებულებებს არეგულირებდა, თუმცა მიუხედავად აღნიშნული რეგულაციის წარმატებული არსებობისა, 2013 წელს შემუშავებულ იქნა რეგულაცია No 608/2013, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 იანვარს.²⁷¹ ახალი რეგულაციით საბაჟო სექტორის აღსრულებითი მექანიზმების გაძლიერება მოხდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან მიმართებით.²⁷²

რეგულაცია No 608/2013-ის 1-ლი მუხლში აღნიშნულია და რეგულაციით განწერილია ის პროცედურული მექანიზმები, რომელიც უნდა განახორციელოს საბაჟო კავშირებმა, მაშინ როდესაც საქმე გვაქვს ინტელექტუალური საკუთრების შესაძლო გაყალბებასთან.²⁷³ საბაჟო კავშირები ვალდებულნი არიან, რომ განახორციელონ ადეკვატური საბაჟო კონტროლი.²⁷⁴

²⁶⁹ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

²⁷⁰<https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/border-seizure-measures-european-union-0>

²⁷¹Ibid.

²⁷²Ibid.

²⁷³Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, გვ.4.

²⁷⁴Ibid. მუხლი 1(2), გვ.4.

რეგულაცია No 608/2013- ში აღნიშნულია, რომ გაყალბებული საქონელი რამდენადაც შესაძლებელია უნდა მოშორდეს ევროკავშირის ბაზარს და უნდა იქნეს შესაბამისი ზომები მიღებული, რომელიც გაუმკლავდება არაუფლებამოსილ გაყიდვებს ისე, რომ არ მოხდება ლეგიტიმური ვაჭრობის შეფერხება.²⁷⁵ იმ საქონლის გაყიდვა, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების გაყალბებას, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის მფლობელს და კანონმორჩილ მენარმეებს, გამყიდვლებს.²⁷⁶ მსგავსი ქმედებებით შესაძლოა, რომ მომხმარებლის მოტყუება მოხდეს და მათ ჯამრთელობასაც კი მიაღვეს ზიანი.²⁷⁷

ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულება საზღვარზე, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომ სწრაფად და ეფექტურად მოხდეს ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების მფლობელების დაცვა.²⁷⁸ შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულებისას, მაშინ, როდესაც საბაჟო ორგანოები, გონივრული ეჭვის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ მათი ზედამხედველობის ქვეშ არსებული საქონელი, არღვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, ისინი უფლებამოსილნი არიან, რომ შეაჩერონ/დააკავონ მსგავსი საქონელი მათი საკუთარი ინიციატივიდან გამომდინარე ან განაცხადის საფუძველზე - კონკრეტული პირი ან ორგანიზაცია უფლებამოსილია, რომ შეავსოს განაცხადი და მოითხოვოს სპეციალური ქმედებების განხორციელება, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დარღვევის დასადგენად.²⁷⁹

²⁷⁵Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, პარ.2, გვ.1.

²⁷⁶Ibid.

²⁷⁷Ibid.

²⁷⁸Ibid. პარ.3, გვ.1.

²⁷⁹Ibid. პარ.15, გვ.2.

1) განაცხადის შევსება

განაცხადი წარმოადგენს საბაჟო ორგანოებისათვის გარკვეულ ინსტრუქციას, რომ მათ შეაჩერონ ის საქონელი, რომელიც შემოდის ან გადის ევროკავშირის ტერიტორიაზე მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი იმის შესახებ, რომ საქონელი არღვევს კონკრეტული პირის უფლებებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე.²⁸⁰ განაცხადით შევვიძლია სხვადასხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები დავფაროთ, მათ შორის პატენტის, სასაქონლო ნიშნის და დიზაინის რეგისტრაციის დებულებები.²⁸¹

განაცხადი შეიძლება შეივსოს ეროვნულ დონეზე ან გაკეთდეს განაცხადი ევროკავშირის ტერიტორიისათვის - ევროკავშირის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებებისათვის.²⁸²

განაცხადები უნდა შეივსოს კონკრეტული სახელმწიფოს ცენტრალურ საბაჟო ორგანოებში.²⁸³ თუკი კონკრეტული საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულია მსგავსი რეგისტრაციის განხორციელების ტექნიკური დებულებები, მაშინ განაცხადი ელექტრონულად ივსება.²⁸⁴ განაცხადი შემდეგი სახის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს: ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას საკონტაქტო პირის შესახებ.²⁸⁵ განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ; ასევე თანდართული უნდა იყოს დოკუმენტაცია რომელიც ასახავს განმცხადებლის უფლებამოსილებას ასეთი განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებით; თუკი განაცხადი შევსებულია წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ თანდართული უნდა იყოს ინფორმაცია ასეთი პირის შესახებ და მტკიცებულება, რომელიც

²⁸⁰<https://www.aathornton.com/anti-counterfeiting-measures-eu-border-applications-action-eu-customs/>

²⁸¹Ibid.

²⁸²<https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/border-seizure-measures-european-union-0>

²⁸³Ibid.

²⁸⁴Ibid.

²⁸⁵Ibid.

წარმომადგენლის უფლებამოსილებებს დაადასტურებს.²⁸⁶ ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა სახის ინტელექტუალური საკუთრების უფლებები უნდა აღსრულდეს.²⁸⁷

რაც შეეხება ე.წ. კავშირის (Union) განაცხადს, ეს არის განაცხადი, რომელიც შევსებულია ევროკავშირის წევრ ქვეყანაში და გაკეთებულია მოთხოვნა ამ ქვეყნის საბაჟო ორგანოსთან მიმართებით და ასევე ერთ ან რამდენიმე ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მიმართებით, რომ მათ განახორციელონ კონკრეტული ქმედებები მათსავე სახელმწიფოებში.²⁸⁸ Union განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ავთენტური საქონლის სპეციფიკური და ტექნიკური მონაცემების შესახებ, მათ შორის ფოტოებს აღნიშნული საქონლის, ასევე იმ სახის ინფორმაციას, რომელიც საბაჟო ორგანოებს დაეხმარება ეჭვქვეშ არსებული საქონლის იდენტიფიცირებაში და სხვ.²⁸⁹ განაცხადება საბაჟო ორგანოს მიერ გადაიხედება და ან დაკმაყოფილდება ან უარყოფილ იქნება.²⁹⁰ უარის თქმის საფუძველს შესაძლოა, რომ მაგალითად წარმოდგენილი ინფორმაციის ნაკლებობა წარმოადგენდეს.²⁹¹ თუ განაცხადში არასრული სახის ინფორმაციაა წარმოდგენილი, საბაჟო ორგანოებმა შესაძლოა დამატებითი ვადის ხარჯზე, კერძოდ კი 10 დღის განმავლობაში მოითხოვონ გამოტოვებული ინფორმაციის შევსება.²⁹² თუკი გამოტოვებული ინფორმაციის შევსება არ მოხდა დადგენილ ვადაში, მაშინ საბაჟო ორგანო უარყოფს განაცხადის მიღებას.²⁹³ განაცხადის მიღებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში

²⁸⁶<https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/border-seizure-measures-european-union-0>

²⁸⁷Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, Article 6(3), გვ.9.

²⁸⁸Ibid. Article 2(11), გვ.7.

²⁸⁹Ibid. Article 6(3), გვ.9.

²⁹⁰Cook T., Journal of Intellectual Property Rights, Revision of the European Union Regime on Customs Enforcement of Intellectual Property Rights, 2013, გვ.1.

²⁹¹Ibid.

²⁹²Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, Article 7(1), გვ.9.

²⁹³Ibid. Article 7(2), გვ.9.

საბაჟო ორგანო, განმცხადებელს აცნობებს განაცხადის მიღებისა თუ უარყოფის შესახებ.²⁹⁴ განაცხადის მიუღებლობის შესახებ გადანყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.²⁹⁵ განაცხადის დაკმაყოფილების-რეგისტრაციის გავლის შემდეგ, შესაბამისი საბაჟო ორგანოები შეაჩერებენ ნებისმიერი იმ საქონლის გადაადგილებას, რომლებმაც მიიქცია მათი ყურადღება და სავარაუდო ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელმყოფს წარმოადგენს.²⁹⁶ აღნიშნული ქმედების შესახებ საბაჟო ორგანო ახდენს ინფორმირებას ორივე მხარისა- ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების მფლობელის და საქონლის მფლობელის.²⁹⁷

რეგულაციის მიხედვით, როდესაც ხდება საქონლის შეჩერება საბაჟოზე, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების მფლობელმა 10 სამუშაო დღის ვადაში, უნდა შეათვასოს არღვევს თუ არა საქონელი მის უფლებებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე და თუკი პასუხი დადებითია, მაშინ კონკრეტული პირი იძლევა თანხმას საქონლის განადგურებაზე ან სხვა სახის ქმედებაზე,²⁹⁸ - რადაც შესაძლებელია მივიჩნიოთ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რა დროსაც საქონელი რეალურად საბაჟო ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ რჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია მსგავსი ყალბი საქონელი გამოიყენებოდეს სასწავლო მიზნებისათვის, ცნობიერების ამაღლებისათვის და სხვ.²⁹⁹ თუკი საქონელი მალფუჭებადია, მაშინ საქონლის გადადგურების შესახებ გადანყვეტილება 3 სამუშაო დღეში უნდა იქნეს

²⁹⁴Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, Article 9(1), გვ.9.

²⁹⁵Ibid.

²⁹⁶Cook T., Journal of Intellectual Property Rights., Revision of the European Union Regime on Customs Enforcement of Intellectual Property Rights, 2013, გვ.1

²⁹⁷Ibid.

²⁹⁸<https://www.aathornton.com/anti-counterfeiting-measures-eu-border-applications-action-eu-customs/>

²⁹⁹Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15., Article 25(a), გვ.15.

მიღებული. ³⁰⁰ საქონლის შეჩერებისას ხდება ასევე საქონლის მფლობელის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ, მასაც ასევე აქვს 10 სამუშაო დღე იმისათვის, რომ თანხმობა განაცხადოს ან უარყოს/გაასაჩივროს საქონლის განადგურება. ³⁰¹ მანამდე სანამ საქონლის მფლობელი არ გამოთქვამს გამოკვეთილ უარს საქონლის გადაგურებასთან დაკავშირებით, საქონელი გადადგურდება იმ შემთხვევაში თუკი ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მფლობელი დაეთანხმება აღნიშნულს. ³⁰² საბაჟოები არ მოითხოვებ გამოხატულ თანხმობას საქონლის მფლობელის მხრიდან, რათა საქონელი განადგურდეს, საქონლის მფლობელის მხრიდან პასუხგაუცემლობა საქონლის გადადგურებასთან დაკავშირებით, კანონით განსაზღვრულ ვადაში, მიიჩნევა ნაგულისხმევ თანხმობად. ³⁰³

საქონლის განადგურების პროცედურა მოიცავს იმის შესაძლებლობას, რომ ისევე, როგორც განმცხადებელს, ასევე საქონლის მფლობელსა და გადანყვეტილების გამომცემს ჰქონდეთ ერთმანეთთან კომუნიკაცია შესაძლო საჩივრებთან დაკავშირებით. ³⁰⁴ გადანყვეტილების მიმღებს ეძლევა შესაძლებლობა, რომ რეაგირება მოახდინოს პოტენციურ საჩივრებზე, რომელიც საქონლის განადგურებას ეხება, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს განმცხადებლისა თუ საქონლის მფლობელის ინფორმირება საქონლის შეჩერებისა თუ განადგურების შესახებ, მანამდე სანამ გამოიყვამა გადანყვეტილება ან მისი გამოცემის დღეს. ³⁰⁵

³⁰⁰<https://www.aathornton.com/anti-counterfeiting-measures-eu-border-applications-action-eu-customs/>

³⁰¹Ibid.

³⁰²Ibid.

³⁰³Ibid.

³⁰⁴Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, პარ.19. გვ.3.

³⁰⁵Ibid.

2) განაცხადის შეუსვებლობა - ex officio ქმედება

რეგულაციის მიხედვით, საბაჟო ორგანოებმა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც შეაჩერონ საბაჟოზე საქონელი, როდესაც წინარე რეგისტრაცია/არსებული განაცხადი, საბაჟო ქმედებების განხორციელების შესახებ არ არის სახეზე.³⁰⁶ აღნიშნულ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს გადმოსახედიდან, ხდება, იმ პირების ინფორმირება, რომლებიც რეალურად იქნებოდნენ უფლებამოსილნი, რომ რეგისტრაცია მოეხდინათ და წარმოედგინათ განაცხადი.³⁰⁷

ამ შემთხვევაში საბაჟოებს აქვთ ერთი სამუშაო დღე, რომ საქონელზე შესაძლო ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელი დაადგინონ, სხვა შემთხვევაში საქონელი მის მფლობელს გადაეცემა.³⁰⁸ საბაჟო ორგანოებმა შესაძლოა, რომ გაიარონ კონსულტაცია კომპეტენტურ საჯარო ორგანოებთან იმისათვის, რომ დაადგინონ ის პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, რომ განაცხადი შეავსონ.³⁰⁹ თუკი უფლებამოსილი პირის დადგენა ვერ მოხდა, მაშინ საბაჟო ორგანოებმა უნდა განათავისუფლონ საქონელი.³¹⁰

იმ შემთხვევაში თუკი ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მფლობელის იდენტიფიცირება მოხდა და მას სურს საქონლის განადგურება, მას აქვს 4 სამუშაო დღე იმისათვის, რომ უფლებამოსილებიდან გამომდინარე (ex officio)³¹¹ შეავსოს განაცხადი, მანამდე სანამ საბაჟო დაკავებიდან/შეჩერებიდან გაანთავისუფლებს საქონელს.³¹² ე.წ. ex officio განაცხადი მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე, საქონლის შეჩერებაზე მოქმედებს, ანუ მას აქვს

³⁰⁶Cook T., Journal of Intellectual Property Rights., Revision of the European Union Regime on Customs Enforcement of Intellectual Property Rights., 2013, გვ.2.

³⁰⁷Ibid.

³⁰⁸<https://www.aathornton.com/anti-counterfeiting-measures-eu-border-applications-action-eu-customs/>

³⁰⁹Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, Article 18(3), გვ.12.

³¹⁰Ibid. Article 18(4) “a”, გვ.13.

³¹¹<https://definitions.uslegal.com/e/ex-officio/>

³¹²<https://www.aathornton.com/anti-counterfeiting-measures-eu-border-applications-action-eu-customs/>

ერთჯერადი ხასიათი.³¹³ მსგავსი სახის განაცხადის მიღების შემდეგ, საბაჟო ორგანოს აქვს ორი სამუშაო დღე გამოყოფილი იმისათვის, რომ მიიღოს ან უარი თქვას განაცხადის მიღებაზე.³¹⁴

შემცირებული ვადებია მოცემული ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელისა და საბაჟო ორგანოებისათვის, მაშინ როდესაც წინასწარი განაცხადი არ გვაქვს სახეზე, მეტიც, *ex officio* განაცხადს ასევე აქვს ერთჯერადი ხასიათი, შესაბამისად ის ინდივიდუალურად უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს მაშინ, როდესაც გაყალბებული საქონლის გათავისუფლების შეჩერება გვინდა.³¹⁵ *ex officio*³¹⁶ ქმედება, 2016 წლის მაჩვენებლით ევროკავშირის საბაჟოების მიერ განხორციელებული ქმედების მხოლოდ 2%-ს წარმოადგენს.³¹⁷ ზოგადად განაცხადის არსებობა უფრო მეტად იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მფლობელს და იმისი ალბათობაც უფრო მაღალია, რომ შესაძლო გაყალბების ამოცნობა მოხდეს.³¹⁸

განაცხადის შევსება უფასოა, განთავისუფლებულია გადასახადისგან, რომელიც მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ მისი განახლება შეუფერხებლად შეიძლება.³¹⁹

³¹³<https://www.aathornton.com/anti-counterfeiting-measures-eu-border-applications-action-eu-customs/>

³¹⁴Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, Article 9(2), გვ.24.

³¹⁵<https://www.aathornton.com/anti-counterfeiting-measures-eu-border-applications-action-eu-customs/>

³¹⁶<https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/border-seizure-measures-european-union-0>

³¹⁷Ibid.

³¹⁸<https://www.aathornton.com/anti-counterfeiting-measures-eu-border-applications-action-eu-customs/>

³¹⁹<https://www.24ip.com/services/border-seizure-measures.html>

3.2.2. ევროპული ზედამხედველობითი ორგანო (ობსერვატორია) ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევებთან მიმართებაში

რეგულაციის მიხედვით, საბაჟო კავშირები წახალისებულნი არიან, რომ ითანამშრომლონ European Observatory on Infringements of Intellectual Property Rights-თან (შემდგომში European Observatory), მათი კომპეტენციის ფარგლებში.³²⁰ European Observatory წარმოადგენს ექსპერტებისა და სპეციალისტთა ერთობას.³²¹ ის ასევე აერთიანებს ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს ევროკავშირის ქვეყნებში და ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებს.³²² მის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით, ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და თანამშრომლობის გამტკიცება.³²³

European Observatory-ს მართავს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისი (European Union Intellectual Property Office- EUIPO), რომელიც შეიქმნა 1994 წელს, რათა ემართა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სიტემა და ასევე შეეთავაზებინა ბიზნესისთვის

³²⁰Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, პარ.20, გვ.3.

³²¹ https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement/infringements-observatory_en.

იხ: Council Regulation 386/2012 on entrusting the Office for Harmonization in the Internal Market (Trade Marks and Designs) with tasks related to the enforcement of intellectual property rights, including the assembling of public and private-sector representatives as a European Observatory on Infringements of Intellectual Property Rights [2012] Official Journal L 129/1, პარ.5.

³²² https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement/infringements-observatory_en

³²³ Council Regulation 386/2012 on entrusting the Office for Harmonization in the Internal Market (Trade Marks and Designs) with tasks related to the enforcement of intellectual property rights, including the assembling of public and private-sector representatives as a European Observatory on Infringements of Intellectual Property Rights [2012] Official Journal L 129/1, პარ.6.

იხ:https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement/infringements-observatory_en

სხვადასხვა გზები მათი უფლებების ევროკავშირის ტერიტორიაზე დასაცავად.³²⁴ 2012 წელს EUIPO-მ შეიძინა დამატებითი უფლებამოსილებები, რომ ემართა European Observatory და დახმარებოდა ეროვნულ ორგანოებს, კერძო სექტორებს და ევროკავშირის ინსტიტუციებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლაში.³²⁵ მან ეს უფლებამოსილება შეიძინა ევროკავშირის No 386/2012 რეგულაციის საფუძველზე, სადაც ოფისის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად აღნიშნულია იმ პუბლიკაციების გამოშვება, რომელიც ევროკავშირის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას გამოიწვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა გაყალბების შესახებ, ასევე მასთან დაკავშირებული კონფერენციების მოწყობა და შეხვედრების წარმოება ევროპულ და საერთაშორისო დონეზე.³²⁶

„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ„ საქართველოს კანონი ცვლილებების შემდეგ დაუახლოვდა ევროკავშირის რეგულაციას No608/2013³²⁷, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ რეგულაციაშივე არის საუბარი European Observatory-ზეც.³²⁸ საქართველოს კანონმდებლობით კვლავ არ არის გათვალისწინებული ისეთი ორგანიზაციის არსებობა, როგორსაც ევროკავშირის ტერიტორიაზე წარმოადგენს European

³²⁴ https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement/infringements-observatory_en

³²⁵ Council Regulation 386/2012 on entrusting the Office for Harmonization in the Internal Market (Trade Marks and Designs) with tasks related to the enforcement of intellectual property rights, including the assembling of public and private-sector representatives as a European Observatory on Infringements of Intellectual Property Rights [2012] Official Journal L 129/1, პარ.18. იხ: https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement/infringements-observatory_en

³²⁶ Council Regulation 386/2012 on entrusting the Office for Harmonization in the Internal Market (Trade Marks and Designs) with tasks related to the enforcement of intellectual property rights, including the assembling of public and private-sector representatives as a European Observatory on Infringements of Intellectual Property Rights [2012] Official Journal L 129/1, Article 2(2) “F”.

³²⁷ ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოციაციის შეთანხმების და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციაციის დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ანგარიში, 2018, გვ.26.

³²⁸ Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, პარ.20, გვ.3.

Observatory on Infringements of Intellectual Property Rights, მიმაჩნია, რომ ექსპერტების გუნდით დაკომპლექტებული მსგავსი ერთობა, რომელიც უშუალოდ კონტრაფაქციისა და მეკობრეობის თემატიკებს გაუძღვება, შეუწყობს ხელს ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების უფრო მაღალ დონეზე დაცვას. ორგანიზაცია, პირდაპირ დაექვემდებარება ჩვენს შემთხვევაში საქპატენტს, ისე, როგორც ევროკავშირში, Observatory არის EUIPO-ს დაქვემდებარებაში. საერთაშორისო დონეზე კოოპერაციაც უფრო გამართივდება, საბაჟო სექტორი საჭიროების შემთხვევაში პირდაპირ მასთან ითანამშრომლებს, რაც ინფორმაციის სწრაფ და ეფექტურ გაცვლას შეუწყობს ხელს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში არაერთი კონფერენცია გაიმართა, რამაც საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლებას შეუწყო ხელი და გადაიდგა არაერთი ნაბიჯი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების მხრივ, რამაც ქვეყნის კანონმდებლობა შეიძლება ითქვას დაუახლოვა ევროპის კანონმდებლობას და მეტად კონცენტრირდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა დაცვაზე. თუმცა თუკი მსგავსი ორგანიზაციის შექმნასაც ვუზრუნველყოთ, ამით კიდევ უფრო დავუახლოვდებით ევროპულ კანონმდებლობასა და სტანდარტებს.

3.2.3. ინფორმაციის გაცვლა

რეგულაცია No 608/2013-ში ასევე ვკითხულობთ: „იმ მიზნით, რომ შევამციროთ საერთაშორისო ვაჭრობა იმ საქონელზე, რომელიც არღვევს ინტელექტუალურ საკუთრებას, TRIPS-ის შეთანხმება შეიცავს იმ დებულებას, რომ WTO-ს წევრებმა უნდა წაახალისონ ინფორმაციის გაცვლა საბაჟო

სექტორებზე.“³²⁹ საქართველო WTO-ს წევრი გახდა 2000 წლის 14 ივნისს.³³⁰ მართლაც, TRIPS-ის შეთანხმების 69-ე მუხლი გვეუბნება, რომ ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლონ ერთმანეთთან, იმ მიზნით, რომ შეამცირონ საერთაშორისო ვაჭრობაში ის საქონელი, რომელიც არღვევს უფლებებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე.³³¹ ამ მიზნისთვის, მხარეებმა მათ ადმინისტრაციებში უნდა დააარსონ საკონტაქტო პუნქტები და გამოხატონ მზადყოფნა ინფორმაციის გაცვლის თაობაზე გაყალბებული საქონლის გაყიდვასთან მიმართებით.³³² მათ ვალდებულებას წარმოადგენს, რომ წახალისონ საბაჟოებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის პროცესები, კონტრაფაქციული საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით.³³³ რეგულაცია No 608/2013-ის მიხედვით, საბაჟო კავშირებმა ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შესახებ დარღვევაზე იმ შემთხვევაშიც უნდა გაცვალონ, თუკი ევროკავშირის ტერიტორია მხოლოდ ტრანზიტული გადაადგილებისათვის გამოიყენება მაშინ, როდესაც მესამე სახელმწიფოში მიდის საქონელი.³³⁴ ევროკავშირში არსებული სისტემის თანახმად, ინფორმაციის გაცვლა საბაჟო ორგანოებს შორის ხდება ევროკომისიის ცენტრალური მონაცემთა ბაზის საშუალებით.³³⁵ აღნიშნულ ინფორმაციაში ასევე მოიაზრება გადაწყვეტილებები იმ განაცხადებზე, რომელსაც კონკრეტული პირები საბაჟოებს წარუდგენენ.³³⁶ რეგულაციის 31-ე მუხლის თანახმად, კომპეტენტურმა საბაჟოს დეპარტამენტმა, გადაუდებლად

³²⁹Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, პარ.21, გვ.3.

³³⁰https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/org6_e.htm

³³¹Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (ძალაში შევიდა 1995 წლის პირველ იანვარს), Article 69.

³³²Ibid.

³³³Ibid.

³³⁴Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, პარ.21, გვ.3.

³³⁵Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, Article 31(3), გვ.17, იხ: https://ec.europa.eu/taxation_customs/dds2/col/col_home.jsp?Lang=en

³³⁶Ibid.

უნდა აცნობოს ევროკომისიას იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც განაცხადის დაკმაყოფილებას ეხება.³³⁷ შესაბამისად, ინფორმაცია აისახება მონაცემთა ბაზაში.³³⁸ მონაცემთა ბაზას აქვს ელექტრონული ფორმა,³³⁹ რომელზედაც წვდომა აქვს ისევე, როგორც ევროკომისიას, ასევე საბაჟო ორგანოებს.³⁴⁰ საბაჟო ორგანოებმა უნდა შეიტანონ მონაცემთა ბაზაში ინფორმაცია, საბაჟო ორგანოებში წარდგენილი განაცხადების შესახებ.³⁴¹ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, სადაც საჭიროა, ისინი უფლებამოსილნი არიან, რომ შეიტანონ ცვლილებები, შეასწორონ ან წაშალონ ინფორმაცია.³⁴² თითოეული საბაჟო ორგანო/წარმომადგენლობა, რომელსაც შეაქვს ბაზაში აღნიშნულ ინფორმაცია პასუხისმგებელია მის რელევანტურობაზე.³⁴³ ევროკომისიამ უნდა აღასრულოს ადეკვატური ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები იმისათვის, რომ მონაცემთა ბაზის ფუნქციონირება იყოს საიმედო და უსაფრთხო.³⁴⁴ მონაცემთა ბაზის დამუშავებისას, საბაჟო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ადეკვატური ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, იმისათვის, რომ მოხდეს მონაცემთა ბაზის უსაფრთხო დამუშავება, ასევე კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა.³⁴⁵ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ბუნებრივია, რომ მას არ ექნება წვდომა ევროკომისიის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზაზეც, თუმცა საბაჟო ორგანოებს შორის აქტიური კავშირისა და კოოპერაციის წარმართვა მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად.

³³⁷Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation [2013] Official Journal L 181/15, Article 31(1) a, გვ.17.

³³⁸Ibid. Article 31(3), გვ.17.

³³⁹Ibid. Article 31(4), გვ.17.

³⁴⁰Ibid. Article 31(5), გვ.17.

³⁴¹Ibid. Article 31(6), გვ.17.

³⁴²Ibid.

³⁴³Ibid.

³⁴⁴Ibid. Article 31(7), გვ.17.

³⁴⁵Ibid.

უფლებათა დაცვაზე, როდესაც ვსაუბრობთ, ასევე მნიშვნელოვანია იმ პროცესუალურსამართლებრივი მექანიზმების მიმოხილვაც, რომელსაც აღნიშნულ შემთხვევაში ვაწყდებით.

4. პროცესუალურსამართლებრივი დაცვის მექანიზმები

4.1. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით

განსაზღვრული დებულებები

2017 წელს, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, შეეხო საპროცესო კოდექსსაც.³⁴⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ცვლილებების შეტანის მიზანს წარმოადგენდა ასოცირების შესახებ შეთანხმებით, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სავალდებულობა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ზემოაღნიშნულ შეთანხმებასთან.³⁴⁷ მოხმობილი შეთანხმების მე-9 თავის, მესამე ნაწილით, განსაზღვრული ნორმებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია განსაკუთრებული უფლების ხელყოფის აღკვეთა, პრევენცია, ადეკვატური სანქციების გატარება, ასევე იმ სამართლებრივი მექანიზმის განსაზღვრა, რომელიც არ იყო საპროცესო კოდექსით გაწერილი.³⁴⁸ შესაბამისად, განხორციელებული ცვლილებები, განსაკუთრებულ უფლებათა ეფექტურ აღსრულებას უწყობს ხელს, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტიდან გამომდინარე.³⁴⁹

³⁴⁶ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი, 2018, გვ.24.

³⁴⁷განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.1.

³⁴⁸Ibid.

³⁴⁹Ibid.

ცვლილებების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა მეშვიდე კარი, რითაც განისაზღვრა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან მიმართებით, სამართალწარმოების თავისებურებანი, განსაკუთრებული უფლების ხელყოფის საქმეებზე.³⁵⁰ ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, აღნიშნული კარი, შეეხება, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან მიმართებით, განსაკუთრებული უფლების ხელყოფის საქმეზე, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ინფორმაციის მიღების უფლებასა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.³⁵¹ აღნიშნული კარის მიზნებისათვის განისაზღვრა იმ სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საქონლის მნიშვნელობა, რომელიც განსაკუთრებული უფლების დარღვევით იყო წარმოებული, რაც წარმოადგენს მაგ: დაცული სასაქონლო ნიშნის, კოლექტიური ნიშნისა თუ მომსახურების მიმართ არსებულ საქონელსა თუ მომსახურებას, რომელიც სასაქონლო ნიშნის მსგავსი, იდენტური, ნიშნის მატარებელია, ან რომელსაც მოცულობითი სასაქონლო ნიშნის მსგავსი თუ იდენტური ფორმა გააჩნია, რომლის წარმოება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, მიწოდება თუ შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა, ხდება და რომელიც იწვევს განსაკუთრებული უფლების დარღვევას, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელისათვის³⁵², და სხვა დებულებები, რომელთა მნიშვნელობაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²⁵ მუხლის ტერმინთა განმარტებაში დაკონკრეტდა³⁵³.

³⁵⁰ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.1.

³⁵¹ Ibid.

³⁵² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 363²⁵ -ე მუხლის „ბ.ა“, ქვეპუნქტი, იხ: განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, გვ.1.

³⁵³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 363²⁵ მუხლი., იხ: განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.1-2.

ასოცირების შეთანხმების 192-ე-194-ე მუხლების მიხედვით, კანონპროექტით ასევე გაიწერა განსაკუთრებული უფლებების დარღვევასთან მიმართებით მტკიცებულებების, ინფორმაციის მიღების, სარჩელის უზრუნველყოფისა თუ გადანყვეტილების აღსრულების საპროცესო ღონისძიებანი.³⁵⁴ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებანი, შეიძლება, რომ მოიაზრებდეს საქონლის, მის დასამზადებლად განკუთვნილი მასალისა თუ დანადგარების, ასევე იმ დოკუმენტების დეტალურ აღწერას, რომელიც სავარაუდო კანონდარღვევასთან არის დაკავშირებული ნიმუშის აღებითა თუ მის გარეშე.³⁵⁵ იმ შემთხვევაში, თუკი ჩამოთვლილი ღონისძიებებით მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, ვერ ხერხდება, მაშინ შესაძლოა, რომ გამოყენებულ იქნეს, დაყადალების ღონისძიება.³⁵⁶ სამოქალაქო პროცესის 363²⁷(3) მუხლის მიხედვით სასამართლო უფლებამოსილია, რომ ზემოთჩამოთვლილ, რამდენიმე სახის ღონისძიებას ერთდროულად მიმართოს.³⁵⁷ აქვე, იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს იმისი ვარაუდი, რომ განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არაპროპორციული ზიანი მიადგება ან თუკი იკვეთება აშკარა საშიშროება მტკიცებულებათა განადგურებისა, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია, რომ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებებს მიმართოს იმ პირთა მოსმენის გარეშე, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მათ დაარღვიეს განსაკუთრებული უფლება.³⁵⁸ 363²⁷(5) მუხლის მიხედვით, სასამართლომ, იმ პირს, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს ზემოთაღნიშნული

³⁵⁴ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.2.

³⁵⁵ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.2. იხ: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²⁷-ე მუხლის მეორე პუნქტი.

³⁵⁶ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.2.

³⁵⁷ Ibid.

³⁵⁸ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.2. იხ: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²⁷ -ე მუხლის მეოთხე პუნქტი.

ღონისძიებები, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს, არაუგვიანეს 48 საათისა, ღონისძიებათა გამოყენებიდან.³⁵⁹

მუხლი 363²⁸ (1) კი ინფორმაციის მიღების უფლებას განსაზღვრავს, აღნიშნული მუხლი გვეუბნება, რომ სამართალწარმოების პროცესში, განსაკუთრებული უფლების დარღვევების საქმეებზე, სასამართლოს აქვს უფლება, რომ განსაკუთრებული უფლების მფლობელის დასაბუთებული და სამართლიანი მოთხოვნის მიხედვით, მოსთხოვოს პირს ინფორმაცია საქონლის წარმოშობისა თუ გასაღების ქსელის შესახებ; თავის მხრივ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შესაძლოა, რომ ფინანსური დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებასაც მოიცავდეს.³⁶⁰ ეს ვალდებულება შესაძლოა, რომ გავრცელდეს იმ პირებზეც, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი, კომერციული მასშტაბით სთავაზობდნენ, ფლობდნენ თუ იღებდნენ ან იყენებდნენ საქონელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ქმედებანი პირად სარგებლობას ემსახურებოდა.³⁶¹ კანონი ასევე განსაზღვრავს თუ რას უნდა ეხებოდეს აღნიშნული ინფორმაცია.³⁶² აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა, რომ მოიცავდეს დამამზადებლის, მწარმოებლისა თუ დისტრიბუტორის, მიმწოდებლისა თუ საცალო მოვაჭრის სრულ სახელწოდებას, მისამართს, ასევე წარმოებული თუ დამზადებული საქონლის რაოდენობას და ფასს.³⁶³ ამასთანავე, კანონი დასძენს, რომ მოპოვებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი დარღვევა დაუშვებელია.³⁶⁴

³⁵⁹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.2.

³⁶⁰Ibid.

³⁶¹Ibid.

³⁶²Ibid.

³⁶³საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²⁸ -ე მუხლის მეორე პუნქტი.

³⁶⁴ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.2, იხ: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²⁸ -ე მუხლის მესამე პუნქტი.

რაც შეეხება 363²⁹ მუხლს, აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს განსაკუთრებული უფლების ხელყოფის საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ დებულებებს, რაც მოიცავს სასამართლოს მიერ განჩინების გამოცემას ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, იმ პირის საკუთრებაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ქონების თუ საბანკო ანგარიშების მიმართ, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, კომერციული მასშტაბით, განსაკუთრებული უფლების ხელყოფის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელია, რომ საფრთხე შეექმნას იმ პირის ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონეა.³⁶⁵ ამ მიზნით, იმ პირის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც ფლობს განსაკუთრებულ უფლებას, სასამართლო გამოითხოვს განსაკუთრებული უფლების შესაძლო დამრღვევის მფლობელობაში არსებულ ფინანსურ, საბანკო ან/და კომერციული ტიპის დოკუმენტებს, ინფორმაციას, რომლის გაცნობის უფლებამოსილებაც გააჩნია მხოლოდ სასამართლოს, რომელიც ასევე უფლებამოსილია, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია/ინფორმაცია გადასცეს დამოუკიდებელ ექსპერტს ყადაღის საგნის იდენტიფიცირების მიზნებისათვის.³⁶⁶ ასევე, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების და მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, რომ კონკრეტულ პირს აუკრძალოს იმ ქმედებათა განხორციელება, რომელიც განსაკუთრებული უფლების დამრღვევ ქმედებას წარმოადგენს.³⁶⁷ ამ ღონისძიების გამოყენება ვრცელდება ასევე იმ პირის მიმართ, რომლის მომსახურებაც გამოიყენებოდა ან გამოიყენება კომერციული

³⁶⁵ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 363²⁹-ე მუხლის პირველი პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი.

³⁶⁶Ibid.

³⁶⁷ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 363²⁹-ე მუხლის პირველი პუნქტი, „ბ“ ქვეპუნქტი.

მასშტაბით, რათა დარღვეულიყო განსაკუთრებული უფლება.³⁶⁸ ცვლილებების მიხედვით, კანონმდებლობაში ასევე გაიზარდა ის შემთხვევა, რომ თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაძლოა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებით ზიანი მიაღწეს პირს, რომელთან მიმართებითაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან განსაკუთრებული უფლების ხელყოფა განახორციელა, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია, რომ გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ასევე, მოსთხოვოს, განსაკუთრებული უფლების მფლობელს, რომ მან მონინალმდევე მხარეს მოსალოდნელი ზიანი აუნაზღაუროს.³⁶⁹ სასამართლო, ასევე უფლებამოსილია, რომ უზრუნველყოფის გარანტია მონინალმდევე/მეორე მხარის განაცხადის საფუძველზეც გამოიყენოს.³⁷⁰

4.2. პროცესუალურსამართლებრივი დაცვის მექანიზმები - გერმანია

4.2.1. სისხლისსამართლებრივი დანაშაული

ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე, წინასწარი განზრახვით, უფლებათა დარღვევა, წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას გერმანულ სამართალში.³⁷¹ თუ ორგანიზებულ დანაშაულთან არ გვაქვს საქმე, ან დანაშაული კომერციულ ინტერესს არ მოიცავს, მაშინ მსგავსი ქმედება ისჯება

³⁶⁸ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 363²⁹-ე მუხლის მესამე პუნქტი.

³⁶⁹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, გვ.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 363²⁹-ე მუხლის მეოთხე პუნქტი.

³⁷⁰Ibid.

³⁷¹ <https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/procedures-and-strategies-anti-counterfeiting-germany-0>

თავისუფლების აღვეთით, ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით და კანონიერ აღსრულებას ექვემდებარება დაზარალებული მხარის მიერ შეტანილი საჩივრის შედეგად.³⁷² ხოლო, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ორგანიზებული ან კომერციული ინტერესის მატარებელი დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით, სამი თვიდან, 5 წლამდე ვადით.³⁷³ კონტრაფაქციული საქონელი შესაძლოა, რომ დაექვემდებაროს კონფისკაციას.³⁷⁴ სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით, ასევე დასაშვებია, რომ მოხდეს ამოღება საქონლის, გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა შესაგროვებლად.³⁷⁵ დაზარალებული მხარე, შესაძლოა, რომ ასევე ითხოვდეს ზარალის ანაზღაურებას.³⁷⁶

4.2.2. სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენება

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისგებლობის მიცემისა და საქმის აღძვრისათვის, სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში.³⁷⁷ წინასწარი ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუმცა იგი სამართლებრივი დაცვის მხოლოდ განსაზღვრული ზომებისათვის დაიშვება, კერძოდ: ოპერატიული დაპატიმრებების დროს, ასევე შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებისას, მაგალითად მომხმარებლებისა და მომწოდებლების დადასგენად და კანონდამრღვევი ქმედებების შემდგომი განხორციელების

³⁷² <https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/procedures-and-strategies-anti-counterfeiting-germany-0>

³⁷³Ibid.

³⁷⁴Ibid.

³⁷⁵Ibid.

³⁷⁶Ibid.

³⁷⁷Ibid.

აღმოსაფხვრელად.³⁷⁸ მხარეს შეუძლია, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წამოაყენოს, ასევე მოითხოვოს ქმედების შეწყვეტა, კონტრაფაქციურებული საქონლის ამოღება გაყიდვების ქსელიდან, მოითხოვოს მათი განადგურება, ინფორმაციის მიღება გაყიდვების ქსელის წარმომავლობასთან დაკავშირებით, რომელიც ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებებს არღვევს, ეს მოთხოვნები შეიძლება იქნეს წამოყენებული მესამე მხარის/პირთა მიმართაც.³⁷⁹ წინასწარი სასამართლო აღმკვეთი ღონისძიებები შეიძლება მიღებული იქნეს მონინააღმდეგე მხარის შეტყობინების გარეშე.³⁸⁰ თუ სასამართლო მოსმენა არ არის საჭირო, სასამართლო როგორც წესი, გადაწყვეტილებს იღებს მოსარჩელის მოთხოვნებიდან 1-2 დღეში, გამონაკლის შემთხვევებში კი იმავე დღეს.³⁸¹ ხოლო თუ ოპონენტი ამტკიცებს, რომ უფლების დარღვევაში ის არასწორად არის ეჭვმიტანილი, მას შეუძლია, რომ შეიტანოს საკუთარი პოზიციის დასაცავი შესაგებელი, გერმანიის ნებისმიერ კომპეტენტურ სასამართლოში.³⁸² წინასწარი აღკვეთი ღონისძიებების გაცხადება გადაუდებელი აუცილებლობითაა გამოწვეული, რომელიც როგორც წესი, ხორციელდება კონტრაფაქციური ქმედებების არსებობისას.³⁸³ თუმცა, თუკი მოსარჩელესთვის ცნობილი იყო უფლების დარღვევის შესახებ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში და მან აღნიშნულ დროს უმოქმედობა გამოიჩინა, მაშინ, სასამართლო არ დააკმაყოფილებს განაცხადს წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით.³⁸⁴ აღნიშნული პერიოდი, სამართლებრივად

³⁷⁸ <https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/procedures-and-strategies-anti-counterfeiting-germany-0>

³⁷⁹Ibid.

³⁸⁰Ibid.

³⁸¹Ibid.

³⁸²Ibid.

³⁸³Ibid.

³⁸⁴Ibid.

განერილი არ არის, თუმცა მიიჩნევა, რომ მოიცავს 1-2 თვიან ვადას და დამოკიდებულია სასამართლოზე.³⁸⁵

განაცხადი წინასწარ ღონისძიებებთან დაკავშირებით უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულებას:³⁸⁶

- კონტრაფაქციული ქმედებების შესახებ;
- მოპასუხის მონაწილეობის შესახებ;
- ასევე უნდა აისახოს განმცხადებლის უფლებები, რომელსაც ეფუძვნება საჩივარი;

მონშეთა დაკითხვა უნდა მოხდეს საქმის არსებით განხილვამდე, წინასწარი საქმის წარმოებისას, მონშეთა ჩვენებები წარმოადგენილი უნდა იყოს წერილობითი ჩვენებების სახით.³⁸⁷ თუკი წინასწარი ღონისძიებების განსაზღვრა, შემდგომ ეტაპზე, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული, მაშინ განმცხადებელმა უნდა აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მეორე მხარეს ღონისძიების აღსრულების შედეგად.³⁸⁸ ამრიგად, აღკვეთი ღონისძიება ავალდებულებს მომჩივანს, რომ მან ამოიღოს სამომხმარებლო ქსელიდან კონტრაფაქციული საქონელი და ის ზიანი, რომელიც ამგვარმა ქმედებებმა გამოიწვია და მასზე პასუხისმგებლობა განმცხადებელს ეკისრება, თუკი, საბოლოო ჯამში აღმოჩნა, რომ აღკვეთი ღონისძიებები იყო დაუსაბუთებელი.³⁸⁹

თუკი წინასწარი აღკვეთი ღონისძიებები, გამოცემულია სასამართლო მოსმენის გარეშე, მაშინ მოპასუხეს შეუძლია, რომ გააპროტესტოს აღნიშნული

³⁸⁵ <https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/procedures-and-strategies-anti-counterfeiting-germany-0>

³⁸⁶Ibid.

³⁸⁷Ibid.

³⁸⁸Ibid.

³⁸⁹Ibid.

რაც გამოიწვევს სასამართლო სხდომის ჩანიშნვას, რათა გადაწყდეს ალკვეთი ღონისძიების ძალაში დატოვების საკითხი.³⁹⁰ თავად ალკვეთი ღონისძიება ძალაში რჩება, მანამ სანამ არ მოხდება მისი ანულირება/გაუქმება.³⁹¹ მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, სასამართლო, რესპონდენტის მოთხოვნიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას წინასწარი სასამართლო ალკვეთის აღსრულების დროებითი შეჩერების შესახებ.³⁹²

4.2.3. ძირითადი წარმოება

საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება გაკეთდეს სამართალწარმოების დროს, რომელიც სარჩელის დასაბუთებული განაცხადის შეტანის გზით არის ინიცირებული.³⁹³ თუკი მოსარჩელე ევროკავშირის ფარგლებს გარეთ იმყოფება, სასამართლოს შეუძლია მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე დააკისროს მოსარჩელეს ხარჯების დაფარვის უზრუნველყოფა.³⁹⁴ როგორც წესი, ოპონენტებს ეგზავნებათ შეჩერებისა და ამოღების წერილები იმ განზრახვით, რომ მოხდეს საკითხის მშვიდობიანი მოგვარება მანამ, სანამ დაიწყება სამართალწარმოება.³⁹⁵ თუმცა, წერილების გაგზავნა კანონმდებლობით მოთხოვნილი არ არის.³⁹⁶ თუკი მაგალითად წინასწარი ალკვეთის ღონისძიება მიღებულია ამოღებასთან და შეჩერებასთან დაკავშირებული წერილის გაგზავნამდე, მაშინ პირს უფლება აქვს, რომ ცნოს დაუყოვნებლივ სარჩელი და მიმართოს სასამართლოს, რომ ხარჯები

³⁹⁰ <https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/procedures-and-strategies-anti-counterfeiting-germany-0>

³⁹¹Ibid.

³⁹²Ibid.

³⁹³Ibid.

³⁹⁴Ibid.

³⁹⁵Ibid.

³⁹⁶Ibid.

სამართალწარმოების დაეკისროს მოსარჩელეს, იმ შემთხვევაშიც კი თუკი საჩივარი ვალიდურია.³⁹⁷

წინასწარი წერილის გაგზავნა არ არის რეკომენდირებული იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი ეჭვობს, რომ ოპონენტი გეგმავს კონტრაფაქციული საქონლის თავიდან მოშორებას.³⁹⁸ ამ შემთხვევაში, უკეთესი იქნება, თუკი წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებას მივმართავთ, წინასწარი შეტყობინების გარეშე, რაც ასევე ფარავს საქონლის ამოღების პროცესს.³⁹⁹ როგორც წესი, სასამართლოებს გამოაქვთ განჩინება, რომ წინასწარი შეტყობინება იყო გაუმართლებელი მოსარჩელისათვის, ამ შემთხვევაში პროცესის ხარჯს აკისრებენ ოპონენტს, მიუხედავად იმისა ცნობს თუ არა ის სარჩელს დაუყოვნებლივ, წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების მიღების შემდეგ.⁴⁰⁰ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთისა და შეჩერების წერილი უსაფუძვლოა, მაშინ, წერილის ემიტენტი პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც მიაღდა მოწინააღმდეგე მხარეს პრევენციული ზომების გატარების პროცესში, რომელიც გაფრთხილებასთან იყო დაკავშირებული.⁴⁰¹

³⁹⁷ <https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/procedures-and-strategies-anti-counterfeiting-germany-0>

³⁹⁸Ibid.

³⁹⁹Ibid

⁴⁰⁰Ibid.

⁴⁰¹Ibid.

5. რეკომენდაციები

პრევენციული ზომები, განსხვავდება ერთმანეთისაგან და დამოკიდებულია იმ ბაზარზე, სადაც უფლების მფლობელი ოპერირებს.⁴⁰² ზოგადად, პრევენციული ზომები ორ დონეზე განიხილება:⁴⁰³

- 1) კონკურენტები, რომლებიც ლეგიტიმურ საქმიანობას ეწევიან, თუმცა დაუდევრად ან განზრახვის გარეშე არღვევენ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებებს, მათთან მიმართებით რეკომენდაციაა, რომ შეიქმნას ე.წ. დამკვირვებელი სერვისები - watch services-რომლებიც ანხორციელებენ მონიტორინგს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან რეგისტრაციის კუთხით.⁴⁰⁴
- 2) უფლებამოსილი ორგანიზაციის მარკეტინგის დეპარტამენტებმა, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან, რეგულარულად უნდა განახორციელონ ბაზრის მონიტორინგი არსებულ დარღვევებზე, საჭირო კვლევების განხორციელების გზით.⁴⁰⁵

⁴⁰² <https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/procedures-and-strategies-anti-counterfeiting-germany-0>

⁴⁰³Ibid.

⁴⁰⁴Ibid.

⁴⁰⁵Ibid.

დასკვნა

დასკვნის სახით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონტრაფაქცია გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ნაშრომი თავის მხრივ ახდენს საქართველოს კანონმდებლობის, ევროკავშირის კანონმდებლობის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო სივრცისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს.

საქართველოს საკანონმდებლო სივრცე მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირის კანონმდებლობას, თუმცა არსებობს კვლავ რამდენიმე სიახლე, რაზედაც ნაშრომი არის კონცენტრირებული და რისი გათვალისწინებაც მიმაჩნია, რომ კონტრაფაქციასთან ბრძოლის უფრო ეფექტურ ხერხებსა და მექანიზმებს მოიცავს.

საქართველოში, როგორც ნაშრომში აღინიშნა, უმჯობესი იქნება, თუკი, ევროკავშირის მაგალითის საფუძველზე, შეიქმნება უშუალოდ ისეთი სახის ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანიც კონტრაფაქციასა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება. იგი შეკრიბავს ერთად ექსპერტთა გუნდს და ითანამშრომლებს საბაჟო სექტორებთან, აღნიშნული ორგანიზაცია იქნება European Observatory-ს მსგავსი ⁴⁰⁶, რომელზედაც კონცენტრაციას ახდენს ევროკავშირის შემდეგი რეგულაციები: No 608/2013; No 386/2012. როგორც ნაშრომში აღინიშნა, European Observatory-ს მართავს EUIPO, საქართველოს

⁴⁰⁶ https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement/infringements-observatory_en

მაგალითის შემთხვევაში, ორგანიზაცია შეიძლება, რომ დაექვემდებაროს საქპატენტის მმართველობის სფეროს.⁴⁰⁷

რეკომენდაციის სახით, მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ დამკვირვებელი სერვისების შექმნა, რომელთა ფუნქციაც ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა რეგისტრაციის მონიტორინგი იქნება, ხელს შეუწყობს სფეროს განვითარებას და დაცვას, ამავე მიზანს ემსახურება ბაზრის მონიტორინგის და კვლევების წარმოებაც.⁴⁰⁸

გარდა ამისა, საფრანგეთის მაგალითის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით, შესაძლოა, რომ განისაზღვროს და დასჯადი გახდეს კონტრაფაქციული საქონლის შესყიდვაც, აღნიშნული პროცესი უკვე სისხლისსამართლებრივ სანქციებს მოიცავს და მეტწილად საბაჟო სექტორების მიერ იქნება კონტროლირებადი.

საბოლოო ჯამში, კი, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, DCFTA -ს კონტექსტში, დადებითად უნდა შეფასდეს.

⁴⁰⁷https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement/infringements-observatory_en

⁴⁰⁸<https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/procedures-and-strategies-anti-counterfeiting-germany-0>

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ნორმატიული მასალა:

- 1) Convention Establishing the World Intellectual Property Organization [1970].
- 2) Council Regulation 2017/1001 on the European Union Trade Mark [2017] Official Journal L 154/1.
- 3) საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ [1999].
- 4) Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights [1995].
- 5) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
- 6) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.
- 7) U.S. Code § 2320 Trafficking in counterfeit goods or services.
- 8) Lanham Act, 15 U.S.C. 1117.
- 9) „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონი.
- 10) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
- 11) Council Regulation 608/2013 concerning customs enforcement of intellectual property rights and repealing Council Regulation (EC) No 1383/2003 [2013] Official Journal L 181/15.
- 12) Council Regulation 386/2012 on entrusting the Office for Harmonization in the Internal Market (Trade Marks and Designs) with tasks related to the enforcement of intellectual property rights, including the assembling of public and private-sector representatives as a European Observatory on Infringements of Intellectual Property Rights [2013] Official Journal L129/1.
- 13) Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS).

სასამართლო გადაწყვეტილებები:

- 14) Harvard College v. Canada (Commissioner of Patents) [2002] SCC 76.
- 15) C-49/02 Heidelberger Bauchemie GmbH [2004] ECR I – 1629.

- 16) C-321/03 Dyson Ltd. v. The Registrar of Trade Marks [2007] ECR I – 687.
- 17) C- 353/03 Société des produits Nestlé SA v Mars UK Ltd [2005] ECR I 6135.
- 18) Nokia Corporation v. Her Majesty's Commissioners of Revenue & Customs [2009] EWHC 1903 (Ch).
- 19) James H. Fischer v. Stephen T. Forrest Jr., Sandra F. Forrest, Shane R. Gebauer and Brushy Mountain Bee Farm, Inc., United States District Court Southern District of New York., 1:14-cv-01304-PAE-AJP.
- 20) R v. Borge [2007] CanLII 36083 (ON SC)
- 21) Sansregret v. The Queen [1985] 1 SCR 570 [22]
- 22) 21) Montres Rolex, S.A. v. Snyder., 718 F.2d 524 (2d Cir. 1983)
- 23) 22) U.S. v. Torkington 812 F.2d 1347 (11th Cir. 1987)
- 24) U.S. v. Gantos 817 F.2d 41 (8th Cir. 1987)
- 25) Rolex Watch U.S.A Inc v. Norman Canner; Leonard Gutterman, et al., 85-6471-CIV-EPS. (United States District Court, S.D. Florida, Miami Division. August, 1986).
- 26) საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 1 დეკემბრის, 2015 წელი, N ას-1285-1223-2014 გადაწყვეტილება.

სამეცნიერო ლიტერატურა:

- 27) L.T.C. Harms, A casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4 th Edition.
- 28) LTC Harms, The Enforcement of Intellectual Property Rights; A case book, 3 rd Edition, 2012.
- 29) McKenna Mark P., Criminal Trademark Enforcement and the Problem of Inevitable Creep, 2018.
- 30) ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი., თბილისი., 2018.

დამხმარე მასალები:

- 31) საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი, სასაქონლო ნიშანი, 2016.
- 32) United Nations Conference on Trade and Development; TRIPS Flexibilities and Anti-Counterfeit Legislation in Kenya and the East African Community: Implications for Generic Producers; an UNCTAD – UNIDO Discussion Paper; 2016.
- 33) European Consumer Center., Co-funded by the European Union., The impact of counterfeiting on online consumer rights in Europe., The risks of buying counterfeits on the Internet, and tips from the ECC-Net for consumers in Europe who want to avoid unpleasant surprises due to these products., 2017.
- 34) განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“.
- 35) ICC BASCAP Membership Guide, Mission, accomplishments, work plan and benefits of membership.
- 36) Rosenbaum Kevin M., Enforcement of Intellectual Property Rights (IPR) in the United States
- 37) Frontier Economics., The Economic Impacts of Counterfeiting and Piracy., Report prepared for BASCAP and INTA
- 38) საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017 წწ.
- 39) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2015 წლის ანგარიში.

- 40) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლის სამოქმედო გეგმა., 2016 წლის ანგარიში.
- 41) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.
- 42) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.
- 43) Cook T., Journal of Intellectual Property Rights., Revision of the European Union Regime on Customs Enforcement of Intellectual Property Rights., 2013.

ინტერნეტ წყარო:

- 44) <https://www.wipo.int/treaties/en/convention/>
- 45) https://www.wto.org/english/tratop_e/trips_e/intel2_e.htm
- 46) <https://harrisbricken.com/blog/differences-u-s-eu-trademark-law-overview/>
<https://www.myattorneyhome.com/Glossary/opposition-period>
- 47) <https://iccwbo.org/global-issues-trends/bascap-counterfeiting-piracy/bascap-global-engagement/>
- 48) <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/5-ways-counterfeiting-hurts-society-and-what-we-can-do-about-it/>
- 49) <http://www.ibuyreal.org/index.html>
- 50) <https://www.bbc.com/news/business-37470667>
- 51) http://www.nbcnews.com/id/15512242/ns/world_news-europe/t/counterfeit-vodka-kills-scores
- 52) <https://iccwbo.org/global-issues-trends/bascap-counterfeiting-piracy/>
- 53) <http://www.ibuyreal.org/index.html>

- 54) <https://www.aathornton.com/anti-counterfeiting-measures-eu-border-applications-action-eu-customs/>
- 55) <https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/border-seizure-measures-european-union-0>
- 56) <https://www.24ip.com/services/border-seizure-measures.html>
- 57) https://ec.europa.eu/growth/industry/intellectual-property/enforcement/infringements-observatory_en
- 58) https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/org6_e.htm
- 59) https://ec.europa.eu/taxation_customs/dds2/col/col_home.jsp?Lang=en
<https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting/procedures-and-strategies>
[anti-counterfeiting-germany-0](https://www.worldtrademarkreview.com/anti-counterfeiting-germany-0)
- 61) <https://definitions.uslegal.com/e/ex-officio/>